ОК 1009/1а

ალ. მანველიშვილი

საქართველოს საზღვრები

სადაც თავდება მორალი პოლიტიკისა,
— იწყება პოლიტიკა მორალისა.
კანტი

გაზეთ „მომავლის“ გამოცემა
პარიზი 1938

ალ. მანველიშვილი

საქართველოს საზღვრებში

სადაც თავდება მორალი პოლიტიკისა,
— იწყება პოლიტიკა მორალისა.

კანტი.

გაზეთ „მომავალის“ გამოცემა

პარიზი

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველოს ტერიტორია და საზღვრები

საქართველოს ტერიტორია ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. ათასეულ წელთა განმავლობაში ბრძოლებისა და თავდაცვის დროს გამოიკვეთა და განმტკიცდა ის გარკვეულ ბუნებრივ საზღვრებში. ეს იქამდე დამახასიათებელია საქართველოს ტერიტორიის, რომ თვით აღორძინებისა და ძლიერების ხანებშიც საქართველო დიდათ არ ყოფილა დაინტერესებული თავისი სამფლობელო ბუნებრივი საზღვრებისათვის გადაეცილებინა.

ისტორიულად საქართველოს უმთავრესი მტერი სამხრეთიდან ჰყავდა. ამიტომ ცვალებადობას უმთავრესად სამხრეთის საზღვრები განიცდიდნენ. უნდა ითქვას რომ ღრმა ცვლილებანი მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში მოხდა. ადრე კი, მართალია საქართველოს ხშირად განუცდია დაბყრობა, მაგრამ ეს ყოფილა მთლიანი და დამპყრობ იმპერიის ფარგლებში საქართველო ყოველთვის ახერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენახა.

აღნიშნული ცვლილება იწყება მე-17 საუკუნის პირველი ნახევრითგან, როდესაც თურქები იპყრობენ მესხეთს და ძალით ამაჰმადიანებენ. მე-19 საუკ. განმავლობაში რუსები ნელ-ნელა იბრუნებენ ოსმალებისაგან საქართველოს ტერიტორიებს და მიუახლოვდებიან ბუნებრივ საზღვრებს. 1918 წელს მკვდრეთით აღმდგარი საქართველო დაახლოებით აღნიშნულ საზღვრებში განახორციელებს თავის დამოუკიდებლობას. ხოლო 1921 წელს მოსკოვმა ოსმალეთს გადაულოცა საქართველოს სამხრეთის პროვინციები: ფოცხოვის თემი (ახალციხის

მაზრის ნაწილი), არტაანის, ოლთისის და ართვინის მხარეები და ნაწილი ბათუმის მხარისაც.

საქართველოს ტერიტორია მოთავსებული ამიერ -კავკასიაში, სამი მხრით შემორტყმულია სიმაგრეებით. ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთით, იხსნება აზერბეიჯანთან. ისტორიულად, აქ მოსახლე თათრის ტომები საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ხოლმე. და მაშასადამე საქართველო აღმოსავლეთითაც თავის სტრატეგიულ ხაზს კასპიის ზღვით საზღვრავდა. ისტორიულად, ყველა დიდი ომების და შეთქმულებების გეგმები ამ პრინციპს ემყარებოდენ.

ამგვარად:

1. საქართველოს ჩრდილოეთით აკრავს კავკასიის მთავარი ქედი მისი უმთავრესი შტოებით.
2. სამხრეთით მას ზღუდავს თოვლიანი მთების მთელი სისტემა, ჩილდირის ტბიდან თორთუმ ბაიბურთის გაყოლებით, შავ ზღამდე.
3. დასავლეთით არტყია შავი ზღვა — უგრძელესი ხაზით, ჩერქეზეთიდან სამხრეთის საზღვრამდე.
4. აღმოსავლეთით საქართველო ეკვრის აზერბეიჯანის ველს. ხოლო აქაც ის გაიყოფა კავკასიის მთავარი მდინარით, მტკვრით და შესართავებით: ძეგამ -ალაზან -ქურმუხით.

ამ ბუნებრივ საზღვრებში მოთავსებული საქართველო ისეთი მთლიანობაა, რომ ყოველი უმნიშვნელო ნაწილის ჩამოცილება ასახიჩრებს მთლიან ორგანიზმს. ის არღვევს გეოგრაფიულად, აკოჭლებს ეკონომიურად, აზიანებს სამხედრო თავდაცვის თვალსაზრისით და ასუსტებს პოლიტიკურად.

მთელ საქართველოს სერავენ სამი მთავარი მდინარის აუზები მათი შესართავებით: მტკვრის, ჭოროხისა და რიონის.

სამხრეთ საქართველო ანუ მესხეთი ერთის მხრით ჭოროხის ხეობით უკავშირდება დასავლეთ საქართველოს, მეორეს მხრით მტკვრის ხეობით აღმოსავლეთ საქართველოს და ასე გადაახვევს რა ხელს ორ დანარჩენ ძმას, ჰქმნის მთლიან ჰარმონიას ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. აქეთგან ნათლათ სჩანს სამხრეთ სა-

ქართველოს უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს მეუ-
რნეობისა და მთლიანობისათვის, რაც ისტორიითაც და-
მტკიცებულია. საქართველოს პირველი გაერთიანება
შესაძლებელი გახდა, მხოლოდ სამხრეთის სუვერენთა
თანხმობით, ხოლო შემდეგ უმათოთ ეს შეუძლებელი
შეიქმნა მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში.

სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობა უფრო გაიზრ-
დება თუ გავითვალისწინებთ მის როლს საერთო თავდ-
აცვის საქმეში. საუკუნეთა განმავლობაში ის იყო ბარი-
ერი გარეშე მტრის ერთად ერთ მოსავალ გზაზედ. ამი-
ტომ იყო, რომ თურქების მიერ მე- 17 საუკუნეში ამ კუ-
თხის მოტაცების შემდეგ, საქართველო არა მარტო დას-
უსტდა, არამედ ის ორად გაყოფილი, ბოლომდე ვეღარ
ახერხებს გაერთიანებას. ამიერ და იმიერ ქართველობა-
ში არა ერთხელ იფეთქა ეროვნუმა შეგნებამ, არა
ერთხელ გამოითქვა სურვილი გაერთიანების. მე-18 სა-
უკუნეში ქართველ მეფე-მთავრებმა სათანადო ხელშეკ-
რულებასაც კი მოაწერეს ხელი, და ეს უნდა მომხდარი-
ყო ისეთი დიდი ავტორიტეტის სკიპტრის ქვეშ როგორ-
იც იყო პატარა კახი, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ალ-
ნიშნული მდგომარეობა და მისგან შექმნილი პოლიტი-
კური პირობები იყვნენ ერთად ერთი მიზეზნი მთლია-
ნობის განუხორციელებლობის. საქართველოს ტერიტ-
ორიალური მთლიანობის დარღვევას მოჰყვა ეკონომი-
ური დაცემაც. რათგან საქართველოს ყოველი კუთხე მე
ურნეობის თავისებურებით ხასიათდება და სამხრეთის
სამუდამოთ ნოწყვეტამ და აღმოსავლეთ დასავლეთის
გაყრამ შექმნა გაჭირვება და სილატაკე. მე- 18 ს. ეს იქა-
მდე სინამდვილე იყო, რომ თვით ძლიერი ქართლ-კახე-
თის მეფე ირაკლიც, კერძო პირებისგან სესხულობდა
ხოლმე ფულს. ამიტომ ყოველგვარ ეკონომიურ და ფი-
ნანსიურ ბაზას მოკლებული სახელმწიფო მხოლოდ სა-
მხედრო ძალაზედ დამყარებით სულს ითქვამდა დროე-
ბით და მისი დაცემა გარდაუვალი იყო.

**ამგვარად, საქართველოს თავისუფლებას აზრი დაეკ-
არგა მას შემდეგ, რაც მისი პოლიტიკური მთლიანობა
დაირღვა და ეკონომიურად დაეცა. ხოლო ყოველივე
ამის მიზეზი იყო მისი ტერიტორიალური მთლიანობის
დარღვევა.**

თვით მონღოლთა ბატონობის დროსაც, ვინაითგან საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა დარღვეული არ იყო, მიუხედავათ მისი მრავალგზის აოხრების, მოსახლეობა კიდევ აღწევდა 5—6 მილიონს და ნივთიერადაც ძლიერი იყო. ის ჯერ კიდევ არ ჰგავდა მე-17—18საუკუნის, ირან - ოსმალეთის მეტოქეობის დროის საქართველოს.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიური მთლიანობის, საქართველო ეთნოგრაფიულადაც ერთ მთლიანს წარმოადგენს. ასეთი მთლიანობა საქართველოს მსგავს პირობებში მყოფ არც ერთ ერს არ დაუცავს. მისი მოსახლეობის 80 პროცენტს წმიდა ქართველობა შეადგენს. ვერც მტერთა შემოსევებმა; ხოცვა-ჟლეტამ, უამრავ უცხო ტომის ჩამოსახლებამ, სპარსეთის და უფრო კი რუსეთის კოლონიალურმა პოლიტიკამ, ვერ შესძლეს საქართველოს ეთნიური მთლიანობის დარღვევა.

ქართველობა გაცილებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო კულტურულად ყველა მეზობელ ხალხებზედ. ამან და ძლიერმა პატრიოტიზმმა ის დაიცვა საბოლოვო გათქვეფისაგან.

საზღვრები დეტალურად. 1. დასავლეთით—შ. ზღვა 2. ჩრდილოეთით — კავკასიონის მთავარი ქედი: საზღვარი იწყება მდ. მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, იქ სადაც კავკასიონის ქედი უახლოვდება შავ ზღვას. ხაზი მისდევს მდ. მაკოფსეს — დიდ ფსეუხშოს მწვერვალამდე. შემდეგ მიყვება მდინარეებს ტუაფსესა და აშეს წყალთ გამყოფ ხაზს და მიადგება კავკასიონის მთავარ ქედს გოიტიხის უღელტეხილიდან 20 კილომეტრზე სამხრეთ აღმოსავლეთით. აქეთგან მიყვება მთავარ ქედს ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე. შემდეგ მიყვება ყაზბეგის მთის სისტემას შავი კლდის მწვერვალამდე. აქედან ხელმეორედ მიჰყვება კავკასიის მთავარ ქედს 11389 ფუტის სიმაღლის მწვერვალამდე, რომელიც იმყოფება ზაქათალის ოლქის მიჯნაზედ (მთ. „კარა კაია“).

3. აღმოსავლეთით — საზღვრის ხაზი დაშვებული ზემო ხსენებული 11389 ფუტის სიმაღლის მწვერვალიდან კავკასიონის ქედისა, გაივლის შემდეგ მწვერვალებს: ქასაპს, უსახელო მწვერვალს 8568 ფუტის სიმაღლის, უსა-

ხელო მწვერვალს 3682 ფუტის სიმაღლის მდ. ყაშუაჩაი-მდე, მწვერვალიდან 4 კილომეტრის მანძილზედ. ხაზი მი ჰყვება ამ მდინარეს სანამ ის შეერთვის მდინარე აგრი-ჩაის. შემდეგ გაივლის ბოზდ-დაღის მწვერვალს და მი-დის მდ. მტკვრამდე მდ. ალაზნის შესართავთან. აქედან მიყვება მდ. მტკვარს ხრამ- ძეგამის შესართავამდე. შემ-დეგ გაყვება ჩათინის მთებს და მივა სამხრეთით ბამბა-კის მთებამდე.

4. სამხრეთით — მდ. ძეგამის სათავეებიდან საქართ-ველოს საზღვარი გაყვება ბამბაკის და ბეზობდალის მთებს შორის (საქართველოში რჩება ლორი). შემდეგ ცოტა შიგნით შემოწევით გარს შემოუვლის ახბალას მთას (მთა რჩება სომხეთში). შემდეგ მიდის სამხრეთით, საქართველოში სტოვებს ჩილდირის ტბას. მერე მიყვება მდ. არაქსისა და მდ. მტკვრის წყალთ გამყოფ ქედს. შე-მდეგ ხაზი შემოუარს თოროთუმს, გაიარს აზრუმის ახ-ლოს, მამახათუნზედ, კარგა შიგნით სტოვებს ბაიბურთს, გაიარს გვიმიშხანის გარედ და მიდის შავ ზღვაზედ კერ-ხაძთან ახლოს, ტრაპიზონის კარგა მოშორებით. ეს არის ისტორიული საზღვრები.

3

ამ ბუნებრივი საზღვრებითგან საქართველოს ხშირად ახევინებდენ უკან. მაგრამ ხელსაყრელ შემთხვევებში ის მას კვლავ იბრუნებდა ხოლმე.

ვინაითგან საქართველოსათვის ცვალებადობის და და-ვის საგანი ისტორიულად უმთავრესად სამხრეთის საზ-ღვრები იყო, ამიტომ აქ მთავარ ყურადღებას მას მივა-ქცევთ.

აღარ ღირს მე-12 საუკუნის უწინარეს ხანაზედ ლაპა-რაკი, რათგან მაშინ ქართველები აღნიშნულ საზღვრე-ბსაც სცილდებოდენ, განსაკუთრებით ლაზიკის სამეფოს დროს. მე-8 საუკუნითგანაც, როცა კლარჯეთის ქართ-ველთა სამეფო ყალიბდებოდა, ჩვენს მიერ მოხაზული ტერიტორია მუდამ მათ ხელშია. მაშინ საზღვარი ტრა-პიზონის იქით გადიოდა.

სამხრეთის საზღვრების ცვლილება ქართველების სა-სარგებლოთ ხდება მე-12 ს-ში, საქართველოს დიდების

ხანაში. ამ დროს მთელი ამიერ კავკასიის ტერიტორია შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე საქართველოს იმპერიას შეადგენდა. სომხეთის სამთავრო ქართველთა უშუალო მფარველობაში იყო. ქართველთა ვასალები იყვენ თათართა სახანოებიც. საქართველოს გავლენის ზონაში შედიოდენ ჩრდილოეთით კავკასიის მთიულები და სამხრეთით სელჯუკთა ზოგიერთი სასულთნოები. თამარის მეფობაში მოხდა ყარსის აღებაც და ამგვარად საზღვარი მტკვრისა და არაქსის წყალთ გამყოფ ქედსაც გადასცდა.

უფრო გვიან, მე-13 ს-ში, როდესაც საქართველოში მონღოლები შემოვიდენ, მათი წყალობით სამცხის მთავარმა სარგის ჯაყელმა შეიძინა სელჯუკთა აზრუმის სასულთნო. ასე რომ საქართველოს საზღვარი ამ დროს ბაიბურთის სამხრეთით კარგა შორს უნდა გადაწეულიყო. მაგრამ მალე შინაური უთანხმოების გამო საქართველო აზრუმის სასულთნოს ჰკარგავს.

მონღოლთა ბატონობითგან დაწყებული, საქართველო ნელ ნელა ეცემა. ის მსოფლიოსგან იზოლიაციაში მოჰყვა. ჩაეკეტა დასავლეთის გზა. ევროპამ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზები შორს გადაიტანა და ასე მომწყვდეულ საქართველოში, ირან- ოსმალთა შეტოქეობის ნიადაგზედ იწყება დანაწილების პროცესი. უკვე დარღვეული პოლიტიკურად, საქართველოს ნაწილები კიდევ ერთხანს ინარჩუნებენ ძველ საზღვრებს.

მე-17 საუკუნითგან კი როდესაც ქართლ-კახეთს სპარსელები იკლებენ, ოსმალები იპყრობენ სამცხე საათაბაგოს და აცხადებენ ახალციხის საფაშოდ. შემდეგ დიდ ნაწილს ძალით ამაჰმადიანებენ, მრავალ ქრისტიანებს ამოსწყვეტენ და ბევრსაც გადაასახლებენ. შემდეგ ოსმალეთი მიილტვის მთელ დასავლეთ საქართველოს დასაკავებლად. იპყრობს შავი ზღვის ნაპირებს: ბათუმს, ფოთს და გავლენას ავრცელებს აფხაზეთზედ. ხოლო მუდმივ ცდაშია იმერეთის დაპყრობის.

ამგვარად, მე- 17 საუკუნის პირველ ნახევრიდან მოყოლებული მთელი სამხრეთ დასავლეთ საქართველო (ე. ი. საქართველოს ერთი მესამედი) მოექცა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ. სახელდობრ შემდეგი პროვინცი-

ები: გარდა შავი ზღვის ნაპირებისა, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. მთავარი ხაზი საზღვრისა ბათუმიდან გადიოდა აჭარა ახალციხის მთებზედ და ბოლოს უწვდებოდა ბორჯომის ხეობას, ეს ის რაც უშუალოდ ოსმალების ხელში იყო.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა, როდესაც რუსეთი შემოვიდა საქართველოში. ამ ხანაში ერთ დამახასიათებელ მვლენას ჰქონდა ადგილი. ახალციხის ფაშები, (ჯაყელთა შთამომავლები) უკანასკნელ ხანებში, ნახევრად ავტონომიურ მდგომარეობაში იყვენ სულთანისაგან. მიუხედავად მათი სრული გამაჰმადიანების, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ს. დასაწყისამდე მთელი სამაჰმადიანო საქართველო სულიერად და კულტურულად დედა საქართველოსთან იყო. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები უამრავია. პოლიტიკურადაც ახალციხის ფაშები ისეთსავე ურთიერთობაში იყვენ საქართველოს მეფე-მთავრებთან, როგორც უკანასკნელნი ერთი მეორეში. მხოლოდ რუსეთმა რომ საქართველოში ფეხი შემოდგა, ამას სასტიკათ შეებრძოლენ მესხები. ამ დროს მესხებსა და დანარჩენ ქართველთა შორის ურთიერთობაზე გავლენას ახდენდა ჯაყელ ფაშებსა და აჭარელ ხიმშიაშვილებს შორის სადინასტიო ბრძოლაც.

რუსეთი როგორც კი ფეხს მოიკიდებს მთელ საქართველოში, ამ ქვეყნით სარგებლობის თვალსაზრისით აუცილებლად იცნობს ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ, რათა დაიბრუნოს საქართველოს დაკარგული მიწები.

იმდროინდელ დიპლომატიურ მიწერ მოწერაში მკაფიოდ არის აღნიშნული ზემოხსენებული ადგილების ის მნიშვნელობა, რაც ჩვენ გავითვალისწინეთ. მაშ მათი დაპყრობაც ეკონომიური და სტრატეგიული თვალსაზრისით აუცილებელი იყო. იგივე გეგმა ჰქონდა უფრო ადრე მეფე ერეკლეს. ამ პროგრამის განხორციელების მიზნით იყო რომ ერეკლემ და სოლომონ პირველმა შეკრეს სამხედრო კავშირი ეკატერინესთან 1768—1774წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. თუმცა მოკავშირე რუსეთმა ქართველ მეფეებს იმედი არ გაუმართლა და ასპინძის გმირული ბრძოლის შემდეგ, 1774 წ. კაინარჯის ტრ-

აქტატმა საქართველოსათვის ომის წინანდელი საზღვრები უცვლელი დასტოვა. ბოლოს მეფე ერეკლემ ეს საკითხი 1783 წლის რუსეთ საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაშიაც შეიტანა. აღნიშნული ტრაქტატის ძალით (იხ. სეპარატიული კონვენცია) რუსეთი ივალებდა ხელსაყრელ შემთხვევაში დახმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიის აღდგენისათვის. აქ იგულისხმებოდა სამცხე -საათაბაგო. აქედან სჩანს რომ სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობის შეგნებასთან, მაღალი მამულიშვილური გრძნობა და მისი დაბრუნების პრეტენზია ბოლომდის სცოცხლობდა ქართველი ერის პოლიტიკაში.

ხოლო მათი ეს კანონიერი და კეთილშობილური ოცნება ნაწილობრივ ფრთებს შეისხამს მე-19 საუკუნეში, რუსეთის საიმპერიო მისწრაფებათა გზაზედ.

1810 წელს რუსებმა მოახდინეს იმერეთის სამეფოს საბოლოო ანექსია და გავლენა გაავრცელეს დასავლეთის დანარჩენ სამთავროებზედაც. ამ დროიდგან დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც რუსეთი წინ მიიწევს. 1813წ. 12 ოქტომბერს გვილისტანის ზავით (მუხ.3) სპარსეთი სცნობს რუსეთის საკუთრებად: ქართლ- კახეთის სამეფოს, კუბას, ბაქოს, შირვანს, დერბენტს და დაღესტანს. ხოლო შვიდი თვით ადრე, 16 მაისის1812წ. რუსეთ ოსმალეთის შორის დადებული ბუხარესტის ზავი თუმცა ომის წინა საზღვრებს უცვლელად სტოვებს, მაგრამ რუსეთმა ომის დროს დაპყრობილი ადგილებიდან ოსმალეთს დაუთმო: ახალქალაქი და ფოთი, ხოლო ქ. სოხუმზედ, რომელიც ომამდე თურქებს ეკუთვნოდათ, უარი უთხრა. ამ პუნქტში გამაგრება მას საშუალებას მისცემდა ადვილად წასულიყო წინ შავი ზღვის მიმართულებით.

უფრო საგრძნობი პროგრესი ხდება 14 ოქტ. 1829წ-ს ადრიანოპოლის ზავით. ტრაქტატის მე-4 მუხლის ძალით დაპყრობილი ადგილებითგან რუსეთს რჩება: ქ. ახალციხე, ახალციხის საფაშოს ნაწილით. ქ. ახალქალაქი და მის შიგნით მოქცეული ტერიტორია. (ამ სექტორში საზღვარი იყო იქ სადაც გადის დღეს, ე. ი. 1921წ. ყარსის ხელშეკრულებით). ხოლო ქ. ყარსს, ნაწილს ახალციხის

საფაშოსი (ფოცხოვის თემი) და მის გარედ მოქცეულ ტერიტორიას (რუსეთი) უთმობს ოსმალეთს. ტრაქტატი აგრეთვე სცნობს რუსეთის საკუთრებად გურია -იმერეთს*).

ამ ფრონტზედ რუსეთის სარდლობას დიდი პრეტენზია ჰქონდა. პასკევიჩის გეგმით რუსეთს უნდა დაეჭირა მთელი ტერიტორია ბაიაზეთისა და აზრუმის საფაშოების და გავლენა გაევრცელებინა ქურდისტანზედ. მაგრამ მას ბაიბურთთან უკანასკნელი ბრძოლა გათავებული არა ჰქონდა, როდესაც ადრიანოპოლში ზავს ხელი მოაწერეს აღნიშნული პირობების დაცვით და რაც პასკევიჩმა გვიან შეიტყო*)

ამის შემდეგ მორიგი პროგრესი მოსალოდნელი იყო ყირიმის ომის დროს. მაგრამ 30 მარტის 1856 წ. პარიზის ტრაქტატი რუსეთ -ოსმალეთის შორის აღმოსავლეთის საზღვრებს უცვლელად სტოვებს. ასე რომ რუსეთი კიდევ ერთხელ უბრუნებს ოსმალებს დაბყრობილ ყარსსა და სხვა ადგილებს.

რუსეთის მისწრაფება აქ ვერ შეჩერდებოდა. მართალია ისტორიამ დაამტკიცა, რომ რუსეთის იმპერიალიზმი ამ მიმართულებით კავკასიით განისაზღვრა. მაგრამ თვით

---

*) რუსეთი, როგორც დასავლეთით და სამხრეთით, ისესამხრეთ აღმოსავლეთითაც პარალელურად მიიწევდა წინ. ახლაც 22 თებ. 1828წ. თურქმანჩაის ტრაქტატით სპარსეთი უთმობს რუსეთს ნახჩევანს და ერევანს (მუხ. 3). მე-4 მუხ. ნათქვამია: „ყველა წყლები რომელნიც დიან კასპიის ზღვის მიმართულებით ეკუთვნიან რუსეთს“ ე. ი. საზღვრები იყო ყარასუს სათავითგან პატარა არარატამდე და არაქსიდან აბას-აბადამდე.

*) ამ ომის შემდეგ ახალციხე ახალქალაქითგან დიდძალი ქართველი მაჰმადიანები იქმნენ გადასახლებული. განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრა მთლად დაიცალა. მათ ადგილას კი რუსების მთავარსარდალმა პასკევიჩმა ოსმალებისაგან შევიწროვებული აზრუმის სომხობა, 30 ათასზე მეტი სული ჩამოასახლა.
კავკასიის დაკავება (1864 წლ. შემდეგ) სრული არ იქნე-

ბოდა, თუ ის მის ბუნებრივ საზღვრებსა და სიმაგრეებს სრულიად არ დაეუფლებოდა.

ეს იყო აუცილებელი პირობა კავკასიის თავდაცვისათვის.

ეს გეგმა განხორციელდა 3 მარტის 1878 წ. რუსეთ ოსმალეთის შორის დადებული სან-სტეფანის ზავით (მუხ.19) რაც 13 ივლისს 1878 წ. ბერლინის ტრაქტატმა დაადასტურა მცირე გამონაკლისით, ე. ი. რუსეთმა პირველი ზავით მიღებულითგან ოსმალეთს უკან დაუბრუნა სომხეთის მხარეს ალაშკერტის ხეობა და ქ. ბაიაზეთი. აი დეტალურად ბერლინის ტრაქტატით გაყვანილი ხაზი: მუხ. 8. „ბრწყინვალე პორტა უთმობს რუსეთის იმპერიას აზიაში ტერიტორიებს, არტაანის, ყარსის და ბათუმის თავისი ნავთსადგურით, ისევე ყველა იმ ტერიტორიებს, რომელიც მოთავსებულია რუსეთ -ოსმალეთის ადრინდელ საზღვრებსა და შემდეგი ხაზს შორის:

„ახალ. საზღვარი შავი ზღვიდან მიყვება სან-სტეფანოს ზავით განსაზღვრულ ხაზს (იხ. აღნიშნული ტრაქ. მუხ.19) ხორდას ჩრდილო დასავლეთით და ართვინის სამხრეთით ერთ წერტილამდე, საზღვარი სწორი ხაზით მიყვება მდ. ჭოროხამდე, გადასჭრის ამ მდინარეს და გაიარს აშმიაშენის აღმოსავლეთით; შემდეგ მიდის სწორი ხაზით სამხრეთით და უერთდება სან-სტეფანოს ზავით ნაჩვენებ ხაზს, მე რე გაიარს ნარიმანის სამხრეთით და ოლთისს სტოვებს რუსეთისაკენ. და ხვ.“

აღნიშნული ხაზი საგრძნობლად მიუახლოვდა ისტორიულ საზღვრებს მის აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთით კი შორს დარჩა.

ამის შემდეგ დიდ ომამდე აღარაფერი ცვლილება აღარ მომხდარა. თითქმის 40 წელიწადი გრძელდებოდა ეს მდგომარეობა, 1914წ. ომის დრო თითქოს იყო ის შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელი იყო საზღვრების კვლავ გადაწევა, ე. ი. მთელ ლაზისტანის შემოერთებაც. მაგრამ რუსეთის დამარცხებას მოჰყვა მისი განუხორციელებლობაც და დროებით კიდევ სხვა ადგილების დაკარგვაც.

მართალია ბერლინის ტრაქტატით ლაზიკა კვლავ ოსმალეთის ხელში დარჩა, მაგრამ არტაანის, ოლთის, ართვი-

ნის და ბათუმის მხარეების დაბრუნებით შესაძლებელი შეიქმნა ნაწილობრივ ტერიტორიალური და ეკონომიური მთლიანობის გამოსწორება. ამიტომ იყო რომ რუსეთი 40 წლის განმავლობაში ადვილად ურიგდებოდა ამ საზღვრებში გაჩერებას.

აქეთგან კიდევ ერთხელ მტკიცდება დებულება: რომ ამ მხარის შემოერთება, თუ აუცილებელი იყო თვით რუსეთისათვის, რომელსაც საქართველო მხოლოდ ცალკე გუბერნიათ ჰქონდა წარმოდგენილი, მით უმეტეს ის აუცილებელია მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს.

საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხი არ არის მისი ტერიტორიის მეტ ნაკლები სივრცის დათმობის, არამედ ის არის მისი დამოუკიდებლობის სასიცოცხლო ფაქტორი. მაშასადამე ეს საკითხი საყურადღებო ხდება საერთაშორისო თვალსაზრისითაც, და ვინც საქართველოს დამოუკიდებლობით ნამდვილად არის დაინტერესებული, მას გვერდს ვერ აუხვევს. ხოლო არა ნაკლებ ანგარიში უნდა გაუწიონ საქართველოს ამ კანონიერ მოთხოვნილებას მისმა მეზობლებმა, ვინც იზიარებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და სურთ კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

ამ თვალსაზრისით 1917- 18წ.წ. ოტომანთა იმპერიის მოქმედება საქართველოს მიმართ იყო წმიდა აგრესიული. თუმცა სხვაგვარი მოქმედება თურქეთისა ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ აღნიშნულ ეპოქისათვის ის დარჩება უცნაურ პარადოქსად და ოსმალეთის მისწრაფების მუდმივ საზომად. აი რატომ: როდესაც რევოლუციის შემდეგ ფაქტიურად დამოუკიდებელი კავკასია ჯერ კიდევ იურიდიულად კავშირს არ სწყვეტდა რუსეთის დროებით მთავრობასთან, თურქების აღმოსავლეთის ფრონტის მთავარ სარდალი ვეხიბ ფაშა წინადადებას აძლევდა კავკასიის მთავრობას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

ამავე დროს კი ის განაგრძობდა ჯარების პროგრესს შიგნით საქართველოსა და სომხეთისაკენ. ეს მოძრაობა კი არ შეუჩერებია მაშინაც, როდესაც კავკასიამ და მერე მისმა ერებმა ცალ-ცალკე დამოუკიდებლობა გამოაცხა-

დეს. ოსმალები დაჟინებით მოითხოვდენ ბრესტ ლიტოვ-სკის ზავით დათმობილ ადგილებს. მართალია, კავკასიის და საქართველოს მთავრობამ გამოუცდელობით შეცდომა დაუშვეს, როდესაც დროზედ ვერ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და თავისი დელეგატები არ წარგზავნეს ბრესტ- ლიტოვსკში; მაგრამ ეს მაინც ვერ ამართლებს ოსმალეთის მოქმედებას და ვერც ამ ფაქტის მომიზეზება ფარავს მათ მისწრაფებას. რათგან კავკასია, თუნდაც რომ იმპერიის ნაწილად წარმოვიდგინოთ ბრესტ -ლიტოვსკის დროს, არაფერ შემთხვევაში მას კავშირი არ ჰქონდა ბრესტ- ლიტოვსკის ავტორებთან. მაშასადამე ბოლშევიკური წარმომადგენლობის დიპლომატიური აქტი იმპერიის ძველ ნაწილებზედ ვერ გავრცელდებოდა. თურქების აგრესივობის დამამტკიცებელი კიდევ ის არის, რომ დაბოლოს მათ დაიბყრეს რა ბრესტ - ლიტოვსკით ნაბოძები ადგილები, სხვებიც ზედ მიაყოლეს. ხოლო 4 ივნისს 1918 წლისა, ბათუმში, ოსმალეთის იძულებითა და სრული კარნახით ოსმალეთ საქართველოს წარმომადგენლები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალები ითვისებენ ბრესტ - ლიტოვსკის დამატებით ახალციხესა და ახალქალაქს. ამ ზავით ოსმალეთმა გხაიარაოა საქართველო და მის დამოუკიდებლობასაც აზრი დაუკარგა. აღარ შეძიძლია აქ ძეტის თქმა ამ ზავის პოლიტიკაზედ, ხოლო დაუმატებ, რომ ამ სამარცხვინო აქტს სათაურად აწერია: „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“(?!)

მალე კი ოსმალეთის დამარცხებამ და შექმნილმა მდგომარეობამ მას უკან დაახევინა, და საქართველო აღსდგა დაახლოებით ომის წინა დროინდელ საზღვრებში. ასეთ პირობებში მოხდა მისი ფაქტიური და იურიდიული ცნობა ჯერ ვერსალის უმაღლეს საბჭოს მიერ და მასთან აზიაევროპა-ამერიკის სახელმწიფოების მიერ, მათ შორის საბჭოთა რუსეთის მიერაც.

4

ოსმალეთში ხდება ქემალის გადატრიალება და როდესაც 1921წ. ბოლშევიკური რუსეთი შემოესევა საქართვე-

ლოს, ოსმალეთიც თავის მხრივ დასძრავს ჯარებს. იკავებს ჯერ არტაან - ართვინის მხარეებს და მერე შემოდის ბათუმსა და ახალციხეში.

დღეს ყველასათვის გარკვეულია, რომ ოსმალეთ რუსეთი შეთანხმებული იყვენ (ეს მოხდა ომის წინ) საქართველოში შემოსევისათვის. რაც 16 მარტის 1921 წლის მოსკოვში, რუსეთ ოსმალეთს შორის დადებული „ძმობისა და კავშირის" ხელშეკრულებით დამტკიცდა. მოსკოვმა ეს ხელშეკრულება დასდო ოსმალეთთან 16 მარტს, იმავე დღეს ოსმალები საქართველოს ულტიმატუმის სახით უცხადებენ, რომ თანახმად ანგორის ნაციონალური ყრილობის დადგენილების, ისინი ანექსიას ახდენენ ბათუმისა. 17 მარტს ქართველი ჯარები თურქებს განდევნიან ბათუმიდან, ხოლო ნაციონალური მთავრობა საქართველოს სტოვებს 18 მარტს. აქედან ცხადია, რომ მოსკოვი ჯერ კიდევ არ იყო დაპატრონებული საქართველოს, ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც მოსკოვ- ანგორა აღნიშნული ტრაქტატით ჩვენს ტერიტორიას ინაწილებდნენ.

მოკლედ, ამ ხელშეკრულებით უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს ბედი. მაგრამ მოსკოვმა, გარეშეთათვის მოსაჩვენებლად, ე. წ. ამიერ კავკასიის მთავრობას 13 ოქტომბერს 1921 წ. ქ. ყარსში ახალი ხელშეკრულება დაადებინა, რაც არსებითად იყო მოსკოვის აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურება.

13 ოქტ. 1921 წ. ყარსის ხელშეკრულება ოსმალეთს უთმობს ყველა იმ ადგილებს, რაც მოიპოვა ძველმა რუსეთმა 1829 წლ. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ ბათუმის გამოკლებით. აღნიშნული ტრაქტატით ოსმალეთის ხელში გადავიდა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი. ნაწილი ახალციხის მაზრის, ბათუმის მხარის და არტაან -ართვინის მხარეების. ტრაქტატის მე-4 მუხ. საზღვრის ხაზს ასე განსაზღვრავს: „ოსმალეთის ჩრდილო დასავლეთი საზღვარი მიყვება ხაზს, რომელიც იწყება შავ ზღვასთან მდებარე სოფ. საარფთან, ის გაყვება ქედის მთას, მერე გაიარს შავშეთ -დერა -კანნი -დაგ-ის მთის წყალთ გამყოფ-ზს და შემდეგ შორს მიყვება არტაანის და ყარსის [illegible]ილ

ადმინისტრატიული ოლქის ჩრდილოეთით, გადის მდ. არ-ფა-ჩაისა და არაქსს და ქვემო ყარა-სუს სათავეს...“

ის მხარე რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს შეიცავს:

ართვინის ოლქს:	— 3,339	კვ. კილ.;	მოსახ.	— 61,000*)
ფოცხოვის თემს:	— 588	„ „	„	— 15,000
არტაანის ოლქს:	— 5,137	„ „	„	— 56,000
ოლთისის ოლქს:	— 3,051	„ „	„	— 32,000
სულ:	— 12,115	კვ. კილ.		— 164,000

გარდა აღნიშნული მხარეების ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ აღმოსავლეთითაც. სახელდობრ ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3,812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი 3,564 კვ. კილომეტრი.

ამგვარად ბოლშევიკებმა, თურქეთს, აზერბეიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19,491 კვ. კილომეტრის სივრცე.

საბჭოთა საქართველო დღევანდელ ფარგლებში უდრის 71,619,4 კვ. კილომეტრს, ე.ი. მთელი საქართველოს ტერიტორია უდრის 91,110,4 კვ. კილომეტრს*)

*) მოსახლეობის ცნობები ეხება 1916 წლის სტატისტიკას. საგულისხმოა, რომ დღეს ეს რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. სამწუხაროდ თურქეთის დღევანდელი ადმინისტრატიული დანაწილება ნებას არ გვაძლევს აღნიშნული მხარეების მცხოვრებთა რიცხვის საჩქაროდ გამორკვევას.

*) ეს ეხება მხოლოთ იმ ტერიტორიას, რომელიც გვეჭირა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, 1918 — 1921 წ-ში. ხოლო ძველი საქართველოს ტერიტორია, რომელიც მოქცეულია 1914 წლ. საზღვრების გარედ (ლაზიკა, ტრაპიზონი, გვიმიშხანა, ჯანიკი, ბაიბურთი, თორთუმი ლივანა) შეიცავს სივრცით 38,608 კვ. ვერსტს. ხოლო მოსახლეობა 1881 წ. თურქეთის აღწერის მიხედვით იქ იყო 490,433 მამაკაცი. ქალებით თუ გაორკეცებულს ვიანგარიშებთ იქნება 980,866 სული. აქეთგან მუსულმანი იყო 748,132; დანარჩენი იყვენ ბერძენ-სომხები. მაშ უკანასკნელ რიცხვს თუ სულ უმნიშვნელო ნაწილს ქურთების და თურქმენე-

ტერიტორიის სიდიდის თვალსაზრისით საქართველოს მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოზედ პრივილეგიური ადგილი უჭირავს. მასზედ მცირე ტერიტორიას შეიცავენ: ლატვია (45,791), ლიტვა (55,670), ესტონია (47,549), დანია (44,326), შვეიცარია (41,295), ჰოლანდია (34,223), ბელგია (30,444), ალბანეთი (27,538), ლიუქსენბურგი (2,585), და სხვ.

საქართველოს მთელ კავკასიაშიც პირველი ადგილი უკავია.

საქართველო	— 91,110,4 კვ. კილომეტრი;
აზერბეიჯანი	— 84,679 კვ. კილ.
სომხეთი	— 30,200 კვ. კილ.
ჩრდ. კავკასია	— 90,200 კვ. კილომეტრი**).
სულ	— 296,189,4 კვ. კილომეტრი***

მაშინ როდესაც დღევანდელი თურქეთის ტერიტორია უდრის — 763,000 კვ. კილომეტრს.

5

ტერიტორიალური განსხვავება საქართველოსი კავკასიის დანარჩენ ნაწილებთან ვაცილებით პატარა მნიშვნელობისაა. მთავარია მისი ხარისხი, რათგან კავკასიის მდებარეობა ისეთია, რომ ყოველი ადგილი ერთნაირ ღირებულებას არ შეიცავს. ნიადაგის სინოყიერის, ბუნებრივი

ბის გამოვაკლეთ დაგვრჩება ქართველების რიცხვი. მაშ ჯერ კიდევ მაშინ იქ ნახევარ მილიონზედ მეტი ქართველი მოსახლეობდა.

**) ჩრდილო კავკასია ბოლშევიკების დანაწილებით შეიცავს შემდეგ ავტონომიებს: ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყარაჩაი, ჩერქეზეთი, ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო, და დაღესტანი. ეთნოგრაფიულად და ისტორიულად ის შეიცავს: ჩერქეზეთს, ჩეჩნეთს, ჩრდ. ოსეთს და დაღესტანს.

***) ამ რიცხვს უნდა გამოაკლდეს ის, რაც გადაეცათ სომხეთს და აზერბეიჯანს. მაშასადამე ის აკლდება თვითეულ მათგანსაც. მაშინ აზერბეიჯანი რჩება 81,679 კვ. კ. და სომხეთს 26,388 კვ. კილომეტრი.

სიმდიდრის და მსოფლიოსთან კავშირის თვალსაზრისით საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. საქართველო უზარმაზარი სივრცით აკრავს შავ ზღვას და მისი ნავთსადგურებით უკავშირდება ევროპის ბაზარს.

საქართველო მთელს კავკასიაში არის ძირითადი ერთეული პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სამხედრო თავდაცვის თვალსაზრისითაც. რაც მაჩვენებელია იმის, რომ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის ბედი იგივეა, რაც საქართველოსი. ეს დამტკიცდა ისტორიულადაც. კავკასიის დანარჩენი ხალხები იმდენად იყვენ ხოლმე თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო იყო ძლიერი და იცავდა სამხრეთის საზღვრებს. რათგან ეს იყო ასე ამიტომ ქართველი მეფეები და სარდლები თვით საქართველოს თავდაცვის საქმეს მთელი კავკასიის, უმთავრესად კი ამიერ კავკასიის მაშტაბით ანგარიშობდენ ხოლმე.

ჟურნალ „კავკაზის“ ორიენტაცია და საქართველო

1934 წელს დაღესტანელი მასონის ჰ. ბამატის ხელმძღვანელობით გამოვიდა ჟურნალი „კავკაზ“. უნდა აღინიშნოს, რომ მას დასაწყისშივე გარკვეული ჰქონდა თავისი მიმართულება. ეს დაამტკიცა შემდეგ მისცა მეთოდიურმა განვითარებამ. სანამ მისი მიმართულების არსებით მხარეს შევეხებოდეთ, აღვნიშნოთ მისი გარეგნული თვისებები: 1) იცავს კავკასიის დამოუკიდებლობას, კონფედერაციას, კავკასიის ერთა სწორუფლებიანობას; 2) აწარმოებს სასტიკ კრიტიკას ქართველი მენშევიკების და საერთოდ დამოუკიდებელ საქართველოს ხელმძღვანელობის. 3) ეწევა პროპაგანდას რუსეთის წინააღმდეგ და ირან-ოსმალეთის სასარგებლოდ.

ამ ჟურნალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მისი ავტორების მიერ წამოყენებული საკითხები შეიცავენ ფორმალ და არსებით მხარს. ჩვენი განხილვის საგანი უკანასკნელი იქნება.

კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხზედ არ ღირს ბევრის თქმა. ამას დღეს ყველა იცავს. განსხვავება შეიძლება იყოს მეთოდებსა და საშუალებებში, რითაც ესა თუ ის მიმართულება ფიქრობს მის განხორციელებას. ამ მხრივ კი „კავკაზ"ის არსებითი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ის გვიქადაგებს სწორედ დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო პრინციპს. რათგან მისი „დამოუკიდებლობა" ეხება მხოლოდ გუშინდელ ბატონებს, ხოლო მის მიერ საკითხის დაყენება ხვალ სხვას გულისხმობს. ცხადია ბ. ბამატი ამ მომავალი დამოკიდებულების ფორმას კალმით „მეგობრულ ურთიერთობას" უწოდებს, მაგრამ მას შემდაგ რაც მან ვერ შესძლო სათანადოთ დაესაბუთებინა, რომ ეს „მეგობრული ურთიერთობა" გახდება საერთაშორისო ღირებულებად, ლაპარაკი ზედმეტია მის „დამოუკიდებლობაზედ". როგორც ქვემოდ ვნახავთ, ბ. ბამატმა ვერ შესძლო და ვერც შესძლებს დაამტკიცოს, რომ მთელი ისტორიის განმავლობაში და დღესაც ირან-ოსმალეთის ინტერესებთან შეთანხმებით კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის გამარჯვება ვერ მოხერხდა. მაშასადამე დასკვნა ნათელია, რომ მისი მეთოდი გულისხმობს უარყოფას რუსეთის და მიღებას ირან-ოსმალეთის ორიენტაციის. რამდენად გულწრფელია ის ამაში, ან ასე ერთად „ირან-ოსმალეთის" ორიენტაცია რამდენად გამოხატავს გარკვეულ პოლიტიკურ მიმართულების ცნებას ამაზედ არას ვიტყვით.

სულ სხვაა კვნფედერაციის საკითხი. მასზედ ღირს შეჩერება. ამ საკითხზედ ემიგრაციაში ბევრი მომხიბლავი ლეგენდა შეიქმნა. ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა და პაქტებიც ხელმოწერილ იქმნა. ხოლო არც ერთხელ არავის მიერ ის რეალობის და შესაძლებლობის თვალსაზრისით განხილულ -დაფასებული არა ყოფილა. მის ლეგენდარულ ხასიათს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მასზედ ყველაზედ მეტს მაშინ ლაპარაკობენ კავკასიელები, როცა სამშობლო დაკარგეს, ცხადია, იმ საპატიო მაგრამ დონკიხოტურ სულისკვეთებით, თითქოს კავკასია ერთად აღე-

ბული უფრო საყურადღებო გახდებოდა პოლიტიკურ და დიპლომატიურ ბაზარზედ. ხოლო მაშინ კი, როცა დამოუკიდებლობა ხელში გვქონდა, მასზედ სერიოზულად არავის უფიქრია. და თუ ფიქრობდა, რაში გამოიხატა შედეგი?! სწორედ საწინააღმდეგო მოვლენაში. 1918 წელს დამოუკიდებელი კავკასია ვერ ახერხებს ერთიანობის შენარჩუნებას და იშლება ცალკე რესპუბლიკებად. შემდეგაც დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მათ შორის მუდმივ ქიშპობა სუფევდა. მაგ. ისტორიაში პირველია, როდესაც სომეხ-ქართველთა შორის უთანხმოებას ომს უწოდებენ და ეს მოხდა სწორედ ამ ხანაში. ეს არის სინამდვილე.

ჩვენში დღეს ბევრი საშუალებებით და ანალოგიით ამტკიცებენ კავკასიის კონფედერაციის აუცილებლობას და შესაძლებლობას. ეს მტკიცება თითქმის ყველასათვის ჰეშმარიტებად ქცეულა.

ისმება საკითხი: თუ ეს ასეა, მაშ რატომ გუშინ ვერ შევსძელით მისი განხორციელება? უბრალო კავშირიც კი ვერ მოვახერხეთ და მტერმა ყველა ცალცალკე გაგვანადგურა. ყველა ამის მიზეზები ჩვენს გარეშე იმალებიან თუ ჩვენ გვაკლდა ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნება და მარტო ამის ბრალია. ხოლო დღეს ეს შევიგნეთ და მაშასადამე ნიადაგი მზად არის. თუ ყოველივე ის, რაც მოხდა გუშინ, მწარე რეალობის ნაკარნახები იყო და დღევანდელი ნაცოდვილარი, უფრო სურვილებით შექმნილი ხუხულაა და ისიც ადვილად დაინგრევა, როგორც კი განხორციელების საკითხი დადგება?! ამაზედ, ჩვენამდე სხვის მოვალეობას შეადგენს გასცენ ღირსეული პასუხი. ეს კი უნდა წარმოადგენდეს საკითხის ღირსეულად შესწავლას. მხოლოდ მაშინ მიესცემთ თავს ნებას მის ფართოდ განხილვის.

დღეს მხოლოდ ერთს ვიტყვით. კავკასიის ხალხთა მეზობლობა და მეგობრობა ახალი ამბავი არ არის, ის ძველია. ახალია დღეს უფლების მიერ შექმნილი ტერმინი. ხოლო მას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მაშასადამე, კავკასიის ერთეულთა კავშირის, თუ გნებავთ კონფედერაციის საკითხი ძველია და ტყუილად დაობენ მის პირველ ავტორობაზედ უსაქმო ემიგრანტები.

კავკასიელთა ერთობა არასასურველი არავისთვისაა. მაგრამ ტრაღედია იმაშია, რომ ამ დიდ და აზიზ იდეას ყველა თავისებურად იყენებს. მას არავინ რეალური და შესაძლებლობის თვალსაზრისით არ აფასებს, ამიტომ არის რომ ასეთი ხალხის ხელში ეს იდეა განუხორციელებელი ქიმერის ხასიათს ღებულობს. ასეთ შემთხვევაში არც ის არის გასაკვირველი, რომ მას მოებლაუჭენ ისეთი ხალხიც, რომელთა მიზანი და მისწრაფება სწორედ კავკასის დაშლასა და განადგურეაში გამოიხატება.

ვინც შეგნებულად დაინტერესებულია კავკასიის მთლიანობის განხორციელებისათვის, მას ბევრის გაკეთება ჰმართებს. უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლოს და მზის სინათლეზედ გამოიტანოს ყოველივე ის რაც ხელს უშლიდენ ან ხელს უწყობდენ მის განხორციელებას ისტორიულად. მართალია, ხშირად კავკასიელები ერთად ვიბრძოდით გარეშე მტრის მიმართ, მაგრამ უფრო ხშირად სწორედ რომ არა ერთად, არამედ ცალ-ცალკე; რატომ? აი კითხვა, რომელიც ისტორიულად პასუხს მოითხოვს. მართალია, ვსწერთ, და იქნებ საჭიროც იყოს გარეედ პროპაგანდისათვის — რომ ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით, მაგრამ საქმიანი და სერიოზული მოქმედება გვავალებს საკითხს პოზიტიურად შევეხოთ. მაშინ კი დავინახავთ, რომ მრავალჯერ და მრავალჯერ ჩვენი ქვეყნის აოხრება სწორედ ჩვენი, შიგნით, მეზობელთა შორის უთანხმოებათა შედეგი ყოფილა. ეს წარსულია და ყველამ ვიცით. იგივე მიზეზები სცოცხლობენ დღესაც. მართალია არიან ხელშემწყობნი და არიან ხელშემშლელნიც. რომელი მათგანი სჭარბობს. ან რა ცვალებადობაა მომხდარი ჩვენს დროს. რომელი მხარის სასარგებლოდ და როდესაც ყველა მათ შევისწავლით და გამოვარკვევთ ცალ ცალკე მათ ხვედრითი წონას, მაშინ უფლება გვექნება საკითხი პრაქტიკულადაც დავაყენოთ. სანამ ყველა ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორთა მნიშვნელობის ხარისხი გამორკვეული არ იქნება „კონფედერატიული პოლიტიკა“ უსაქმოდ წყლის ნაყვაა. რათგან გარეგნულად სრულიად უმნიშვნელოდ მოსჩანან ხელის შემშლელი მოვლენები და პირიქით, ხელისშემწყობნი ისეთის სიდიადით გამოიყურებიან, რომ

საშუალო მოღვაწესაც ადვილად უბნევენ თვალებს. აი უმთავრესი პირობანი. ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა მოითხოვს გარეშე მტრისაგან თავის დაცვა სწარმოებდეს მთელი კავკასიის მაშტაბით. კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებიც ყველა კავკასიელ ერების მჭიდროდ არიან გადაწნული. საერთაშორისო ურთიერთობაშიც მას მეტი წონა ექნება. ისტორია და ტრადიციებიც მათ ფრიად აახლოებს. ყველა ეს ისეთი მძლავრი პირობებია, რომ საწინააღმდეგო ფაქტორები რომ არ არსებულიყვენ ალბათ შორეულ წარსულში ეს ხალხები ერთ ძძლავრ ერთან ასიმილიაციაში მოყვებოდენ. საუბედუროდ არც ძველად და არც ახლა ამ ხალხთა ბედი მარტო მათი შინაგანი მდგომარეობით და სურვილებით არ სწყდება. არიან მრავალი გარეშე ფაქტორები, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ჩვენს გეოგრაფიასთან. მაგრამ მის დადებით მნიშვნელობას ფარავენ და აბათილებენ. აი თუნდაც რელიგიური ფაქტორი. ჯერ კიდევ ძლიერია ის ფსიქოლოგია, რომელიც შექმნა რელიგიურმა განსხვავებამ კავკასიის ხალხებში. მან ერთი მისი ნაწილი დააკავშირა ირან-ოსმალეთთან. ზოგს ამ ხალხთაგანს აერთებს ოსმალეთთან სისხლით ნათესაობა და არა ძალიან შორეულიც. იმ დროს როდესაც ირან-ოსმალეთი დაუსრულებლად მიილტვოდა კავკასიის დასაბყრობად, ეს ფაქტორი დიდათ ხელს უშლიდა ჩვენს ერთობას. მართალია ჩვენ, მე-20 საუკუნის შვილებს გვინდა ამ „ძველი" ფაქტორის ღირებულება უარვყოთ, მაგრამ სინამდვილე მას კიდევ ინახავს. ამ მხრივ საქართველოს კავკასიაში ერთად ერთს აქვს ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნიადაგზედ შექმნილი საღი დამოუკიდებლობის ინსტიქტი. მისი სოციალური და ეროვნულ სახელმწიფოებრივი კულტურისათვის ძნელი გასაგები არ არის, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა უნდა ფარავდეს რელიგიურ და რასიულ ნათესაობის გრძნობებსაც. ასე ხდება ყველა კულტურულ ერებში, და ალბათ ერთ დროს ასე მოხდება კავკასიაშიც. მაგრამ რა საჭიროა თვალების დახუჭვა — ჯერ ეს ასე არ არის. მოვიგონოთ გუშინდელი ამბავი. როდესაც 1918 წ. ოსმალეთი საქართველოს და სომხეთის ტერი-

ტორიებს იკავებდა, საქართველო იძულებული იყო ომით ეპასუხა ოსმალეთისათვის. და როდესაც საკითხი დაისვა სეიმში (ესეც თქვენი კონფედერაცია?!), აზერბეიჯანის წარმომადგენელმა ქოის ხანმა განაცხადა, რომ აზერბეიჯანი იარაღს ვერ აიღებს ერთ მორწმუნე ოსმალეთის წინააღმდეგ... ამის შემდეგ არავისათვის უცხო არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ საუკუნოებით ოსმალეთისაგან განაწამები სომხეთი რუსეთისაკენ ეძებდეს მაშველ ხელს.

და ჩვენთვის წიგნებითგან ამოწერილ ციტატებს, ლამაზ ფრაზებს, პაქტებს და სხვა ქვეყნებთან ანალოგიებს ნაკლები ღირებულება აქვთ, ვიდრე ამ რეალ ჭეშმარიტებას.

იქნებ დღეს სხვა მდგომარეობაა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ კავკასია განთავისუფლდა და კონფედერაციაც განხორციელდა. ვინ მისცეს გარანტია მოკავშირე მუსულმანობას იმის შესახებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს კავკასიას ომი არ მოუხდება მის მეზობლებთან, ირანთან ან ოსმალეთთან. რანაირი მეგობრობაც არ უნდა გვქონდეს ჩვენ მათთან, რომელ ჭკუათა მყოფელს მოუვა თავში აზრად, რომ ასეთი ზავი სამარადისო იქნება. როგორ შეიძლება ჩვენი ინტერესები მუდამ დააკმაყოფილონ მათ. ან როდემდი შეიძლება მათ წითელი კვერცხები ვუგოროთ. და ომის დროს რას იზავს აზერბეიჯანი ან იგივე ბამატი, თოფს ესვრის დღეს მის კეთილს მყოფელთ? ამისთვის დადებით პასუხს 1938 წლამდე არსებულს ვერც პრესაში, ვერც მოქმედებაში და ვერც რაიმე გარემოებაში ვერა ვხედავთ. საწინააღმდეგოს კი ათასს.

რაც დრო გადის ჩვენი მეზობელი აზერბეიჯანელები და ზოგიერთი მთიულებიც გვიქადაგებენ ისლამის კულტურას. ერთი ამის ავტორთაგანი ბრძანდება მუსავატის თავმჯდომარე, ბ. რასულ-ზადე. აღზრდილი ირანის კულტურაზედ, კავკასიურ სულს მოკლებული. აქ მოვიყვან მის აზრებს, რომელიც ჟურნალ „დამ. საქ-ში“ იყო გამოქვეყნებული. მისთვის შამილის გმირობა არ არის კავკასიური ნაციონალური მოვლენა, არამედ ისლამური. მისი აზრით ჩრდილოეთ კავკასიას აზერბეიჯანთან არაბული ენა აერთებდა ძველად (ე. ი. ისლამი — სრული უვიცობაა!), ახლა თურქული ენა. ხოლო „აზერბეიჯანი, ამბობს ის,

დიდი თურქული რასის ერთი მხარეთაგანია. ეროვნულ დამოუკიდებლობის ბრძოლაში აზერბეიჯანს ძალას აძლევს ეროვნული იდეის სიმართლის რწმენა; ამ რწმენის დაუშრეტელი წყაროა ეროვნული კულტურა, მძლავრი და ერთი თურქის ყველა ერისათვის, დიდი თურქული კულტურა". აი საით მიეზიდება ეს „პაქტოსანი" აზერბეიჯანთან ჩრდილო კავკასიას. თუ კი საქმე რასაზეა, მაშინ ჩრ. კავკასიის ხალხები ხომ ქართველების მონათესავენი არიან! ეს დამტკიცებულია ყველა მეცნიერთა მიერ, მაშინ მათ რა ესაქმებათ შუა აზიითგან ჩამოსულ თურქთა რასასთან! აქ კი ბ. რასულ ზადე ხიდად სწორედ რელიგიას სდებს. რადგან ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილში კაი ხანია ისლამური რელიგიაა გავრცელებული. კომენტარიები ზედმეტია.

ამის შემდეგ ვისთვის არის დაფარული, თუ ბ. რასულ ზადეების კონფედერაციას რა ღირებულება ექნება! რომ მათ მთელი კავკასია თურქული კულტურის გავლენას უნდა დაუმორჩილონ. მადლობა ღმერთს, ჩვენ არა ნაკლებ ვიცნობთ ირანის კულტურას, და ვიცნობთ სწორედ ჩვენ, ქართველები, ხოლო თურქულ კულტურას ისევე ვერ ვიცნობთ, როგორც თვით ბ. რასულ ზადე.

ამგვარად ეს ხალხი მიილტვის იქით, რომ მთელი კავკასია ისლამის გავლენის ქვეშ მოაქციოს. ასეთი იყო ისტორიული მისწრაფება ირანის და ასეთივე იყო ოსმალეთისაც. კავკასიაში რჩება მხოლოდ საქართველო და სომხეთი. უკანასკნელის მდგომარეობა ფრიად მძიმეა და ის ველარ გახდება საზომი წმინდა კავკასიური ორიენტაციის და მაშასადამე რჩება საქართველო, რომლისთვისაც დამოუკიდებლობის საკითხთან თვით კონფედერაციის აქტი მისაღებიც არის და განსახორციელებელიც.

ამ მხრივ ბ. ბამატის „კონფედერაციაც" იგივე გარეგნული ფანდია აღნიშნული ისლამურ მიმართულების. მთელი მისი არგუმენტაცია ირან-ოსმალეთთან დამოკიდებულების შესახებ იგივეა. თუმცა ამ ორ პირს პირადი ამბიცია ავალებს ერთი მეორის „კონფედერაცია" უარჰყონ.

ბამატის „კონფედერაცია" არის ის მახე რომელმაც უნდა გააბას ქართველ - სომხობაც და ირან ოსმალეთის ტკ-

ბილ აღმოსავლურ ჰანგებზედ ამღეროს. ცხადია, არც ერთ ერსა და არც ერთ საზოგადოებაში არ გამოლეულან: უკათედრო პროფესორები, უჯარო ღენერლები, უპარტიოდ დარჩენილი ლიდერები, ათასი დამთხვეულნი და ქანქარის მაძიებელნი, რომ მან სათანადო ნანადირევი მაინც ვერ მიართვას თავის ბატონს. ბამატი ამგვარ ელემენტთა დახმარებით სცდილობს ყველაზედ გაუტეხავ ქართველ ერშიც შეიტანოს თურქული მიმართულების გავლენა. ცხადია, ციხის შიგნიდან გაღებას უკეთესად ვერავინ შეესლებდა. ე. ი. ის, რაც ხუთი საუკ. მანძილზე მტრებმა ბრძოლით და სისხლის ღვრით ვერ განახორციელეს კავკასიაში, ეხლა კავკასიის თათრებს და მათ შორის ბამატსაც, სურთ ის დიპლომატიური და პოლიტიკური ხაფანგებით განახორციელონ.

მაგრამ ბამატის ბადე მჭიდროთ მოქსოვილი ვერ აღმოჩნდა და იქ მისი თავი მთლიანად გამოიყურება. ის მაინც იჩენს ჟურნალისტის ოსტატობას. ხანდისხან პირდაპირობასაც არ გაურბის რათა მოპირდაპირის თვალში ეჭვი შეასუსტოს. როდესაც მას თურქოფილობა დასწამეს, მან თავის პასუხში თუმცა სიტყვა ბრჭყალებში ჩასვა, მაგრამ გრძნობა მაინც ვერ დამალა. ის სწერს:

„ჩვენი „თურქოფილობიდან“ ჩვენ არასოდეს რაიმე საიდუმლოებას არა ვქმნიდით. კიდევ მეტი ჩვენ არასოდეს არ ვფარავთ ჩვენს რწმენას მასში, რომ ყოველი, კავკასიის გულწრფელი პატრიოტი, რომელიც ძიისწრაფის თავისი სამშობლოს განთავისუფლებისაკენ საბჭოთა უღლისაგან, მოვალეა იყოს „თურქოფილი“. (კავკაზ, ნომ.16 გვ.5)

ბ. ბამატი გვარწმუნებს, რომ ჩვენთვის სავალდებულო ყოფილა „თურქოფილობა“. და ამას ისა და მისი მეგობრები გვიმტკიცებენ ქართველებისათვის გაცვეთილი თემით. ის რაც ჩვენში წერის და საუბრის საგანი ყოფილა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენი და სპარსეთის კულტურული ურთიერთობის შესახებ, ეს თურმე ახლა გაუუგია ჟურნალ „კავკაზს“ (იხ. ნომ. 24). აზერბეიჯანელი ახმედ ზადე ჩამოგვითვლის რა ზოგიერთ მაგალითებს ირან ოსმალეთის და კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან და ასკვნის: „ვლაპარაკობ რა ყველა ამაზედ, მე ვემსახუ-

რები ერთ გარკვეულ აზრს. მე მინდა ცხად ვჰყო, რომ ჩვენ კავკასიელებს არ შეგვიძლია დავაცილოთ ჩვენი ისტორია — ახლო მეზობელთა, ოსმალეთ -ირანის ისტორიას. ათასი ძაფი გვაახლოებს მათ, და ნამდვილად გაგებული ინტერესები გვიკარნახებენ ჩვენ კავკასიელებს და აგრეთვე ირანსა და ოსმალთს, ხელი ხელს მივცეთ· რამდენათაც ისინი პოლიტიკურად იქნებიან ძლიერნი, მით უკეთესი ჩვენთვის, რამდენად, მაგარი იქნება ზურგი, რომელსაც ჩვენ შეიძლება დავემყაროთ გაჭირვების დროს, მით უფრო ჩვენ წყნარად ვიქნებით დამოუკიდებელნი."

რა არის ეს, თუ არა პოეზია! ავტორს არა სცოდნია ისტორია. მას არა სცოდნია, რომ როდესაც სპარსელ ქართველები ურთიერთ ენებზედ ფირდოუსსა და რუსთველს სთარგმნიდენ, ამას ხელ არ შეუშლია სპარსეთის ბატონებისათვის მუდმივ ეოხრებინათ საქართველო. უკულტურო და კაცი-ჭამია რუსეთმა ბევრი ავნო საქართველოს. ხოლო კულტურულმა და საქართველოს სამი ათასი წლის განმავლობაში მეზობელმა სპარსეთმა საქართველოს ნახევარი ფიზიკურად გააქრო. ვისთვის არის უცხო შემზარავი ამბები ჯალალ ედინების, შახ ისმაილების, შახ აბაზების და აღა-მაჰმად-ხანებს. შახ-აბაზს სისხლით ნათესაობამაც*) კი არ შეუშალა ხელი ქართლ კახეთის აოხრებაში. იგივე ითქმის ოსმალეთზე. ავტორს გუშინდელი ამბებიც ავიწყდება. განა 1918 წ. არ იყო რომ ოტომანთა მთავარსარდალი მოსაჩვენებლად ამიერ კავკასიას დეპეშებს უგზავნიდა, დამოუკიდებლობა გამოაცხადეთო და ამავე დროს საქართველო სომხეთის ტერიტორიებზედ აგრესიულ მოქმედებას ანვითარებდა. განა 1921 წელს არ იყო, როდესაც საქართველოს ბოლშევიკები შემოესიენ, ჩვენმა „მაგარმა ზურგმა", ქემალის ოსმალეთმა, ზურგიდან დაგვიწყო — მაგრად დარტყმა — ჩვენი სამხრეთის პროვინციები დაიკავა. და როდესაც ვინმე ახმედ ზადეები კალამს ჰკიდებენ ხელს, მათთვის ერთი რამ მაინც არის სავალდებულო, ცოდნა გუშინდელი ამბების, რათა

---

*) ის იყო დედით ქართველი და ცოლადაც ქართლის მეფის და ჰყავდა.

ხვალინდელი იწინასწარმეტყველო, ან და ცოდნა იმ ხალხის გონებრივი ავლადიდების, ვის აბნევასაც ის სცდილობს. ან დაბოლოს, ბ. ბამატმაც უნდა გვითხრას, რომ მის ორგანოს სამწერლო სავარჯიშო დანიშნულებაცა აქვს.

ჩვენს მიერ აღნიშნული ამბავი სჩანს თვით „კავკაზსაც“ ბავშვურად მოეჩვენა და ოსმალეთის 1921 წლის მოქმედების გამართლება სცადა მეორე არა ნაკლებ გულუბრყვილო საშუალებით. ვინმე ტ. ელექხოტი („კავკაზ“ ნომ. 32) ოსმალეთის აღნიშნულ მოქმედებას იმას აბრალებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მენშევიკების ხელში ყოფილა. ის სწერს: „ამ მოვლენათა ნათელ ფონზედ, უნებურად დგება კითხვა: 1920—21 წ. ოსმალეთის მოქმედებანი ხომ ნაწილობრივ ნაკარნახები არ იყვენ იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება იყო მენშევიკების ხელში, რომელთა ორიენტაცია ემყარებოდა ჩვენთვის შორეულ და უცხო მე-2 ინტერნაციონალს.“ ამისთანა უაზრობაზედ ჩვეულებრივ არაფერს ამბობენ. მაგრამ როდესაც არ იცით მწერალი თითონ არის სულელი თუ მკითხველს ასულელებს, საჭიროა რამე სთქვათ ამის გამოსარკვევათ. ცხადია, საქართველოს მთავრობის მენშევიკობა აქ არაფერ შუაშია. მენშევიკობას და მე-2 ინტერნაციონალს რომ რამე კავშირი ჰქონდეს საქართველოსა და ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ურთიერთობაზედ, მაშინ მესამე ინტერნაციონელი ხომ ყველაზედ მეტი საფრთხობელა უნდა ყოფილიყო მათთვის. ჩვენ კი ვხედავთ, რომ აღნიშნულ ინტერნაციონალთან და საქართველოს კომუნისტურ მთავრობასთანაც მათი ურთიერთობა არის ისე მეგობრული როგორც არასოდეს. რატომ? იმიტომ რომ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებას ზურგს უკან მოსკოვი სდგას, ხოლო ოსმალეთს მისი ეშინია. მაშინ როდესაც მენშევიკუბს არავინ უმაგრებდა ზურგს. ოსმალეთს სწყუროდა საქართველოს ტერიტორია, მორიგდა მოსკოვთან და წაიღო ის რაც უნდოდა. გარდა ამისა მეორე უფრო ძვირფასი მაგალითი. იმავე ჟურნალ „კავკაზმა“ მრავალი დოკუმენტები გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ ოსმალეთმა ასეთივე როლი ითამაშა თვით აზერბეიჯანის „გასაბჭოების“ საქმეში (იხ. აზერბეიჯანის პარლ

ამენტის თავმჯ. ამხანაგის ჰასან ბეგ აღაევის წერილი ენვერ ფაშასადმი. „კავკასია“ ნომ.5) არ შეიძლება გვიპასუხოს ბ. ელექბოტმა, აქაც ხომ მე-2 ინტ-ლის ბრალი არ იყო? აზერბეიჯანს ხომ ნაციონალისტები განაგებდენ და სისხლითაც ხომ ისინი ნათესავები არიან თურქების (სომხებზედ აღარას ვამბობთ), მაშ თურქემა ეს რაზედ გასწირა ჩვენზედ უფრო ადრე? ამას ვერ გაიგებს ის, ვისაც არა აქვს სახელმწიფოებრივი ცხოვრების კულტურა. თურქებმა კი მაშინაც კარგად იცოდენ და ახლაც კარგად იციან, თუ რას აკეთებენ.

მკითხველი დაინახავს, ჩვენი კავკასიელი მეზობლების მოქმედება ისეთ ხასიათს ღებულობს, რომ მესამე პირს ეგონება, ისინი კონფედერაციას ამზადებენ არა საქართველოსთან, არამედ ირანთან და ოსმალეთთან. ხოლო საქართველოს ჰკილავენ და ასამარებენ. დღეს, მისი გუშინდელი მეთაურების, მენშევიკების სახით. და ავიწყდებათ რომ მენშევიზმი დროული მოვლენაა, ხოლო ერის არსებობა მარადიული. გუშინ მენშევიკები იყვენ, დღეს ბოლშევიკები არიან. ისეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიც კი რაც დღეს კავკასიაშია შექმნილი, ქართველობის ნიჭი და გამოცდილება ხმა მაღლა ყვირის კულტურისა და შემოქმედების ყოველ სფეროში. ჩვენს პატივცემულ მეზობლებს რომ ჰქონდეთ საღი ეროვნული გრძნობა და პატივისცემა და შეეძლოთ ქართულ ენაზედ კითხვა, დაინახავდენ დღევანდელი ქართველობის ზოაპრულ წინმსვლელობას კულტურის ყოველ დარგში. ქართველობის სახელმწიფოებრივი ნიჭი და მოქმედების უნარი იქ ახლაც პირველ ადგილს იჭერს. მოკლედ, ქართველობის პირველობა მთელ კავკასიაში კულტურულად, ეკონომიურად და პოლიტიკურადაც, არასოდეს არავისათვის სადავო არ ყოფილა და არ არის. ჩვენთვის უხერხული იყო ამ თემაზედ ლაპარაკი, მაგრამ იძულებული ვართ ვსთქვათ, რადგან ბ. ბამატს და მის თანამშრომლებს აღნიშნული სინამდვილე არ მოსწონთ. მათ უნდათ 3500 წლის გამოცდილება და კულტურა ხელოვნურათ ჩავაქროთ და დაღესტნელ ჯიგითს გაუთანასწორდეთ. ფიზიკურად და სულიერად დაავადებულ ემიგრაციაში ისეთებიც აღმოჩდენ, ვისაც თვალების წინ

ოფოფები უფრინავთ და ქართულ საზოგადოებას მკვდრად აცხადებენ. ყველა ამის შემდეგ გაიმარჯვებს რა ბ. ბამატის „სწორუფლებიანობის თეორია“, და ბოლოს ის ალბათ საკითხს კენჭის ყრით გადაგვიწყეტს. საქართველოსთან იქნება ალბათ მეორე, სომხეთის ხმა, ხოლო ბამატის მხარეს კი ხმათა დიდი უმრავლესობა: აზერბეიჯანი, დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყარაჩაი, ყაბარდო, ჩერქეზეთი და სხვ. კავკასიის თანასწორ უფლებიანი ხალხები. როგორც ვხედავთ ამ გზით ბამატის მიზანი ადვილათ იქნება მიხწეული. „სწორუფლებიანობის“ თეორიის გასანაღდებლადაც შირმად აგრათვე კონფედერაციას მიმართავს. ვინაითგან: „არც ერთ კავკასიის ხალხთაგანს არა აქვს თუნდაც უმცირესი „შანსი“ გაავრცელოს თავისი ჰეგემონია დანარჩენებზედ. თვითეულ მათგანს აქვს საკმაო სასიცოცხლო პოლიტიკური ღირებულება, რაც მეორეს არ გააჩნია. თვითეულ მათგანს აქვს თავისი აქილესის ქუსლი, რომელიც მას სასიკვდილო ხიფათით ემუქრება.“ („კავკაზ“ ნომ. 35) და მისი აზრით არც ერთ მათგანს არ შეუძლია გადასწყვიტოს, დამოუკიდებლად, თავისი საკუთარი ძალებით, ის პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები, რაც აუცილებელია მისი თავისუფლებისათვის.

აი, სად ყოფილა დამარხული ძალლის თავი! ქართველ მკითხველს მგონია მეტი კომენტარიები არა სჭირია. დაგვრჩენია დავასკვნათ, თუ რა ღირებულებისაა ბამატის კონფედერაცია: 1. მისი მიზანია, დაარწმუნოს ყველა იმაში, რომ კავკასიაში მყოფი ყველა ხალხები და ერები თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური ღირებულებით თანასწორი არიან. 2. მათი ცალ ცალკე არსებობა შეუძლებელია თვინიერ ერთად კონფედერატიულად შეერთებისა და თანასწორად ცხოვრებისა. 3. და ბოლოს თუ არა ოსმალების მფარველობით, შეუძლებელია თვით კავკასიის დამოუკიდებლობაც. ამგვარად, ბამატის ნავი კასპიის ზღვიდან ხმელეთს გადასცურავს და შავი ზღვით კოსტანტინეპოლში მიიტანს თავის „კონფედერაციას“.

ზემოდ გამოვარკვიეთ ბამატის მიზანი. მისი მეგობრები სიტყვიერადაც დიდ პროპაგანდას ეწევიან იმის შესახებ, თითქოს ქართველი ერი, რომელიც ისტორიულად მთელი კავკასიის ღირებულებათა საზომი იყო, დღეს დაცემულიყოს. თითქოს ქართველ ერს მრავალ საუკუნოვან ბრძოლებში გამოელია ის ენერგია და უნარი, რაც მას პირველობას ანიჭებდა. თითქოს დღეს კავკასიაში ახალი ძალები (ერები) წარმოშვებულიყვენ, რომელნიც მოწოდებულნი არიან ქართველი ერის შესაცვლელად.

ეს აქ სხვათა შორის აღვნიშნე. ქართველ მკითხველს, მით უფრო ილიას სამკვიდროზედ აღზრდილთ და ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გაწრთვნილ თაობებს არ ვჰკადრებ ამ პათოლოგიურ მოვლენაზედ ყურადღების შეჩერებას. ვახსენე მხოლოდ იმიტომ, რათა ამ ხალხის შემდეგი მოქმედება გასაგები გავხადო.

ყველა შენიშნავდა, რომ ჟურნალ „კავკაზმა", გამოსვლის დღიდანვე, მთავარ თემად, ქართველი მენშევიკები ამოიღო მიზანში. ეს იყო ალბათ ერთი მიზეზიც, რომ მენშევიკების მოწინააღმდეგე ქართველ ნაციონალისტთა ერთი ნაწილიც ბამატს მხარში ამოუდგა პირველ ხანებში.

ისმება საკითხი.ვსთქვათ ბამატი რასაც სწერს მენშევიკებზედ, მართალია. სამი სიტყვით: საქართველო დაღუპეს მენშევიკებმა. მერე ბამატს რაო! საქართველო ხომ დაღესტანი არ არის, რომ ერთ ბამატს შესცქეროდეს. ქართველთა მორის ავი თუა, კარგიც ბევრია. ემიგრაციაში მენშევიკების ორი ორგანოს გვერდით ათამდე მათი საწინააღმდეგო გამოდის. და ბამატმა თუ არ იცის, ქართველმა მკითხველმა ხომ იცის, რომ მეშევიკებს მისი მოწინააღმდეგენი არაფერში არ ინდობენ. ათასი უბედურობა იწერება და ეს ყველა გასაგებია. ჩვენი შინაური, ავიცა და კარგიც მხოლოდ ჩვენ გვეკითხება. გარეშესაც აქვს უფლება სთქვას რამე ჩვენზედ, ამისათვის კი არსებობს ერთგვარი საზღვარი, რომლის იქით არც ერთი წესიერი ერის წესიერი წარმომადგენელი არ იკადრებს სხვის საქმეებში ჩარევას. ქართველი მენშევიკების კრიტიკა, მხოლოდ ქართველი

ნაციონალისტების საქმეა და როდესაც ამავე როლს სხვა ერის შვილი იკისრებს, ამას ცოტა სხვა სუნი უდის.

დიახ, ჩვენთვის აშკარაა, ქართველი ერის დამცირებისა თვის, რომ ბამატმა ის ხალხი ამოიღოს ნიშანში, ვინც გუშინ დამოუკიდებლობას ხელმძღვანელობდენ და ვის ხელშიაც დაეცა.

ქართველი მენშევიკების დასამარება მისთვის ნიშნავს მოსპობას იმ ძალის, ვინც ასე თუ ისე გუშინ ბატონობდენ საქართველოშიც და კავკასიაშიც. სხვა ახსნა მისთვის ჩვენ არ გვაქვს. რათგან ბამატი არც ერთხელ შეცდილა მენშევიკების გვერდით სხვა საქართველო, უფრო ძლიერი დაეხატა. პირიქით თუ კი რამე დასჭირდა ეთქვა საქართველოს ეროვნულ ძალებზედ, ყველა იყო გამოყენებული მენშევიკების გაკიცხვის მიზნით. ერთ ასეთ დოკუმენტად მან გამოიყენა ღენ. ოდიშელიძე.

ამ პირზედ უკანასკნელად ქართულ პრესაში მეტად მძიმე ბრალდებაა წამოყენებული და ბამატს ჰმართებს მისი დაცვა.

ვიმეორებ, სხვანაირად გაუგებარია ბამატის მოქმედება. ოთხი წელიწადია მან ყურები გამოგვიჭედა იმ ამბებით, რაც ქართულმა პრესამ ათასჯერ გადაღეჭა. ათასჯერ უკეთეს კალმოსნებს უთქვამთ და დაუწერიათ მენშევიკების ავკარგზედ, ვიდრე ეს ბამატის მოხალისე მწერლებს შეუძლიათ. ქართველებს ამაზედ წერაც და კითხვაც, ჩვენს პრესაში მოგვწყინდა. ამ თემით ემიგრაციაში ბევრმა პოლიტიკური მწერლის სახელიც კი მოიხვეჭა. და დღეს ვის რათ უნდა კიდევ მეათეჯერ განმეორება ძველის. ხოლო თუ ის საჭირო გახდა, ნუთუ ამაში ქართველებს ვისმეს დახმარება გვჭირია! ქართველებს ფული გვაკლია თორემ გული და ნიჭი არასოდეს გვკლებია. ბრძოლაც ვიცით და გამარჯვებაც. შინაურ მტერსაც ვიცნობთ და გარეულსაც და ისიც ვიცით ვის რა მიუზღათ. ქართველ ერს თავის არსებობის ხანგრძლივ შარაზედ ამის მეტი არაფერი უკეთებია. და ამაში ჩვენ არავისი ჭკუის სწავლება არა გვჭირია და ბამატის აღვირახსნილ ჩარევაში ჩვენ ვხედავთ არა სასურველ სტუმარს.

აქ კი ყველა ქართველი მოვალეა დაფიქრდეს. არც პატრიოტობა და არც ნაციონალისტობა არ გვავალებს ში-

ნაური მტრის წინააღმდეგ გარეშე მტერს მხარში ამოუდგე. შენი სისხლი და ხორცი სხვებს დააგლეჯინო. ეს შეგნება ყოველთვის ჰქონდა ქართველ ერს. და როდესაც თავიდან ხელაღებული მემამულე სპარსეთის ან ოსმალეთის ჯარს მოუძღოდა ხოლმე, ქართველი ერი მას მოღალატეს უწოდებდა. როდესაც მდივან -ორჯონიკიძე- მახარაძე მოსკოვის ბოლშევიკებს შემოუძღვენ, ერმა ისინიც მოღალატეებად გამოაცხადა. ხოლო როდესაც ქართველ თავად - აზნაურობის ხელმძღვანელმა ღენ. კონსტანტინე აფხაზმა, სამშობლოს ბედნიერების.ა და მისი ხელისუფლების უზენაესობის პატივისცემისათვის, თავისი წოდების კერძო ქონება მოწინააღმდეგე მენშევიკების მთავრობას გადასცა, —ერმა მისი დაუვიწყარი სახე ეროვნული გმირის გვირგვინით შეამკო.

ასე აფასებს ქართველი ერი შინაურ და გარეშე მტრებს. ჩვენ ვიცით როდის ვებრძოლოთ შინაურ მტერს, და ვიცით როდის გამოვიდეთ გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად. ეს საღი ეროვნული ინსტიქტი დღესაც-ძლიერად სცოცხლობს ჩვენში და ვერავითარი ძალა მას ვერ ამოჰგლეჯს ჩვენი სისხლითგან. ჩვენ ვებრძვით შიგნით ერთი მეორეს, ხოლო როდესაც გარეშე მტერი შემოგვიტევს, მაშინ ვივიწყებთ შინაურ დავას და ყველა ერთად ვიცავთ სამშობლოს. ამდენად ჩვენ დავიცავთ ყოველ ქართველს სოციალისტი იყოს თუნდა კომუნისტი, თუ კი ჩვენს შორის სამტრო ეხება მხოლოდ ერის შინა ცხოვრების საკითხებს. ეს არის აზრი ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის წარმომადგენლის და ბ. ბამატს მართებს მისი მოსმენა.

დიდათ სამწუხაროა, რომ ბამატი გამოდის კავკასიის მთიელთა წარმომადგენლად. კავკასიის მთიულები არ შეადგენენ ერთ გარკვეულ ტომს. ისინი საკმაოდ მრავალ რიცხოვან და საკმაოდ დაშორებული ტომებისაგან შესდგებიან. მთელი კავკასიური რასის ყველაზედ ზოგად დანაწილებაშიც ქართველებისა და აფხაზების გვერდით, მთა შეადგენს სამ ლინგვისტურ ოჯახს: ჩერქეზთა (მრავალი ქვედანაწილებითა და კილოკავებით), ჩეჩენთა და დაღესტანის (21 კილოკავით). ჩრდილო კავკასიასვე ეკუთვნის ჩრდ. ოსეთი, ინდო ევროპიული მოდგმის ხალხი. იქვე არ-

იან თათართა მოდგმის ხალხი, ნაშთი მონგოლთა შემოსევის. ყველა მათ წარმომადგენლად და მათი სურვილების გამომხატველად რომ დაღესტნელი ბამატი არ გამოდგება, ეს სადაო არაა. ჩვენის ღრმა რწმენით კი ის თვით დაღესტნის მისწრაფებებსაც ვერ უპასუხებს. რათგან, თუ რასულ ზადეების რასისტული თეორია ძალაში შევიდა, არა მგონია კავკასიის მთიელებმა მათი სისხლი შორეულ მონღოლეთში ეძიონ. მთის გადაგვარებულმა „ინტელიგენტებმა“ თუ არა, მისმა რაინდმა ხალხმა იცის მისი სისხლის ნათესავობა. თავის ადათ -ჩვეულებებში, ათასეულ წელთა განმავლობაში წარმოებული ბრძოლების მოგონებებში მკვეთრად არის ჩაქსოვილი მათი ვინაობა. ეს იქ იციან, თოვლიან მთებში, სადაც ყველაფერი ნათლად მოსჩანს. ხოლო იმ ნალექს, რომელიც მოიტანა რელიგიამ და კავკასიურ მოდგმას შორის განსხვავება დაჰბადა, წალეკს მეოცე საუკუნის კულტურული გამოღვიძება. ქართველი ერი აღტაცებით მოელის მის თანამოსისხლე მთიელთა აღორძინებას, მაშასადამე ჩვენთან მათ მეგობრების მეტი არავინ უნდა ეგულებოდესთ. დღეს დღეობით კი ბამატ ელექხოტებს მაინც ვერ მივსცემთ ნებას ქართველი საზოგადოების ჭკუის დამრიგებლად გამოვიდენ, რადგან „ვეფხის ტყაოსნის“ წერასა და ჯოხის თლის შორის კარგა მანძილია გასავლელი.

3

ჟურნალ „კავკაზ“ის ფურცლებზედ ხშირად გაისმის სიტყვები „ჩრდილოეთი“ და „სამხრეთი“, რაც ფრჩხილების გახსნით ნიშნავს ორ მიმართულებას, საიდანაც მოდიოდენ საქართველოს მტრები. ჩრდილოეთის საკითხზედ ჩვენ არ ვდაობთ. ყველა ქართველის აზრი ცნობილია რუსეთის საკითხში. რუსეთის საწინააღმდეგო მიმართულება ერთი საუკუნით წინ (და უფრო ადრე) შექმნა ალექსანდრე ბატონიშვილმა და ღირსეულადაც უწინამძღვრა მას. არც ქართველებს მას შემდეგ და არც ბამატებს შამილის შემდეგ ამ საკითხზედ ახალი აღარაფერი აქვთ სათქმელი.

„კავკაზშიც“, რაც ამას ეხება არ ახალია, ძველია: **რუ-**

სეთი უნდა წავიდეს კავკასიიდან, ამის მეტი შემარიგებელი ფორმულა ჩვენთვის არ არსებობს.

სულ სხვაა ე. წ. სამხრეთის საკითხი და ის გაცილებით უფრო რთულია ვიდრე ბამატს და მის მიმდევრებს ეჩვენებათ. წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ ბ. ბამატი „სამხრეთის“ საკითხში ან ვერ ერკვევა, ანდა ესმის და შეგნებულად სხვის საქმეს აკეთებს, მეთოდად კი „კავკასიის დამოუკიდებლობა“ აქვს გამოყენებული. მისთვის მიგვინდვია ამ ორში, რომელიც უნდა ის აირჩიოს. ჩვენ კი ჩვენს დასკვნას გავაკეთებთ.

როგორ უცქერის „კავკაზი“ სამხრეთის საკითხს?
ბ. ბამატი სწერს: „მოსკოვის ოკუპანტების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კავკასიის ხალხებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი მტერი — ჩრდილოეთი; სამხრეთით კი იმყოფებიან მისი ბუნებრივი მეგობრები და პოტენციალური მოკავშირენი“ (კავკაზ ნომ 38). მაშ სამხრეთით საქართველო -კავკასიას მხოლოდ **ბუნებრივი** მეგობრები და მოკავშირეები ჰყოლია. საკითხი ერთი ხელის დაკვრით გადაჭრილია. აი არგუმენტიც: „გაძლიერებული, სიცოცხლის უნარით აღჭურვილი დამოუკიდებლობის დაცვის უეჭველი ნებისყოფით ასულდგმულებული კავკასია, ოსმალეთისათვის წარმოადგენს მისი ყველაზედ მწვავე პრობლემის გადაჭრას — დაცვას ნაციონალური საზღვრების, მატემატიკურად გარდაუვალი, რუსეთის ახლო მომავლის აგრესიისაგან.“ (კავ.ნომ. 35) ბამატის აზრით: „შექმნა ბუფერული კავკასიის, რომელიც დაიცავს მათ (ირანსა და ოსმალეთს) რუსეთთან უშუალო მეზობლობისაგან, უპასუხებს ამ სახელმწიფოთა მეტად სასიცოცხლო ინტერესს“.

როდესაც ბ. ბამატი ამ ძველ შაბლონს იმეორებდა, საჭირო იყო ჯერ პასუხი გაეცა კითხვაზედ: მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ისტორიულად, ირანი და ოსმალეთი არასოდეს არ შეცდლიან ამ „ბუფერის“ შექმნას, თუნდაც ოდნავ ხელის შეწყობით?! ისინი პირიქით, მუდმივ მის განადგურებას ეცილებოდენ ერთი მეორეს. და ეს მარტო საქართველოსა და სომხეთზედ კი არ ითქმის, არამედ, მათ ერთმორწმუნე თათართა სახანოებზედ და დაღესტანზე-

დაც. ბამატმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ შახბაზების, ნადირ შახების და აღა მაჰმად ხანების ირანი საქართველოსთან ერთად ანადგურებდა თათრებსაც და ლეკებსაც. ბამატი სდუმს ამაზედ. ან იმიტომ, რომ არ ესმის წარსულის მნიშვნელობა, ან და იცის, რომ პასუხის გაცემა მას ხელს არ მისცემს.

ის უხერხულობაში ვარდება მხოლოდ აწმყოთი. რათგან ის აწმყოა და მას ყველა თვალით ხედავს. ე. ი. რომ ოსმალეთმა გუშინაც ხელი შეუშალა კავკასიის დამოუკიდებლობას. მის მტრებს „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება დაუდო და კავკასიის მიწებიდანაც მიიზლო. ეს მდგომარეობა აქამდე გრძელდება. ის უკვე გარკვეული ეპოქაა და მისი არ დანახვა ან მისთვის გარკვეული პოლიტიკური ღირებულების არ მინიჭება სასაცილო შთაბეჭდილებას მოახდენდა, ამიტომ ბ. ბამატი ამაზედ ვეღარ გაჩუმდა და ასეთ ეპისტოლეს გვიკითხავს: „ჩვენ შეგვიძლია დაწყნარებით უცადოთ იმ მომენტს, როდესაც ისტორიული სიტუაციის შეცვლასთან, ოსმალეთის განუწყვეტელი ინტერესები, **რომელნიც** სრულს ჰარმონიაში იმყოფებიან ჩვენს ნაციონალურ ინტერესებთან, გაუღვიძებენ მის უმაღლეს ბელადს მისცეს თავის მთავრობას საგარეო პოლიტიკის ისეთი მიმართულება, რომელიც უპასუხებს ჩვენს ტკივილებს.“ (კავ. ნომ16)

რასაკვირველია, მას შემდეგ რაც 1921წ. ოსმალეთმა საქართველოს დაცემაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, მიიღო თავისი კერძი მისი მიწებიდან და მოსკოვ - ანგორის მეგობრობაც ურყევ საფუძველზედ არის; შორითგან მაყურებელ ბამატს შეუძლია „დაწყნარებული უცადოს“ იმ მომენტსაც, როდესაც ისტორიული სიტუაცია შეიცვლება (უფრო საგულისხმოა, მოსკოვი დასტოვებს საქართველოს) და ოსმალეთის „განუწყვეტელი ინტერესები“ უკარნახებენ მის ბელადს, მთავრობას მისცეს ახალი მიმართულება საგარეო პოლიტიკის, ე. ი. ჯარები დაძრას კავკასიის მთლიანად დასაკავებლად და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს „უპასუხებს ბამატის ტკივილებს“.

ბ. ბამატი თვალებ ახვეული იმეორებს ძველ ლათაიას,

რომელიც არაფერ შემთხვევაში არ ეთანხმება საერ პოლიტიკურ აზროვნებას.

აქ გვინდა, თუნდაც მოკლედ ამ კითხვას შევეხოთ. დრო არის საკითხს რეალურად შევხედოთ.

უკვე რამდენიმე საუკუნეა რუსეთის იმპერიალიზმი მიისწრაფის ოსმალეთისა და ირანის გადასათელად. ის შედის მისი ექსპანსიის გეგმაში ორი მიმართულებით. შავი ზღვით ხმელთა შუა ზღვისაკენ და სპარსეთის ყურით ინდოეთისაკენ. ეს ძველი ამბავია. ოსმალეთ - რუსეთ შორის აღმართულია კავკასიონი და თუ ის ძლიერი და დამოუკიდებელი იქნება, რუსეთის ექსპანსიას შეაჩერებს და ამით დიდ სამსახურს გაუწევს ირან-ოსმალეთს. ამ ელემენტარული ლოლიკით ირან ოსმალეთი თვითონაც უნდა იყვენ დაინტერესებულნი კავკასიის დამოუკიდებლობით. კიდევ მეტი, ყოველ მხრივ უნდა სცდილობდენ მის გამაგრებას და გაჭირვებაში შველასაც. აი ის პოეზია, რომლის დეკლამაციასაც ხშირად მიმართავს ბამატი. მაგრამ აზრის ლოლიკა ერთია, ცხოვრების მეორე და არა ყოველთივს თანხვდენილნი. ბამატმაც უნდა იცოდეს, რომ მთელი სამი საუკუნის განმავლობაში, ე. ი. სწორედ იმ დროითგან, როდესაც რუსეთმა კავკასიისაკენ წამოიწია და შთაისხა მომავალი საშიშროება ირან ოსმალეთისათვის, უკანასკნელი სახელმწიფოები სწორედ საწინააღმდეგო პოლიტიკას ადგენ კავკასიის, და განსაკუთრებით მისი მთავარი ნაწილის საქართველოს მიმართ.

როდესაც ქართველმა მეფეებმა რუსებთან მოლაპარაკებები დაიწყეს, ამ დროს ოსმალეთ - ირანის დიპლომატები საქართველოზედ აგრესივობის საბაბად ხშირად ამ აღნიშნულ ფაქტს ასახელებდენ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დიპლომატია, რათგან სპარსელებმაც და თურქებმაც ძალიან კარგად იცოდენ, რომ ქართველ მეფეთა აღნიშნული მოქმედება შედეგი იყო სწორედ მათი აგრესივობის. როგორი იყო მათი პოლიტიკა რუსეთამდე?!

მონღოლების დაცემის შემდეგ ჩვენს მეზობლად წამოჭრილი თურქეთის და სპარსეთის იმპერიების პოლიტიკა იყო მუდამ აგრესიული საქართველოს მიმართ. სამხრეთ აღმოსავლეთით თეთრ ბატკნიანთა კონფედერაციის მეთა-

ური უზუნ ჰასანი ანადგურებს რა ჯეჰან შაჰს გააერთიანებს სპარსეთს, იბყრობს აზერბეიჯანს და მოიწევს აღმოსავლეთ საქართველოზედ. ამ პოლიტიკას ღირსეულად აგრძელებენ სეფიდების, ნაციონალური დინასტიის წარმომადგენლები. ხოლო დასავლეთით ოსმალები ცეცხლით და მახვილით ანადგურებენ რა ბიზანტიას, ტრაპიზონის იმპერიასაც მიწასთან ასწორებენ. მალე დაეცემა ლაზისტანიც რომელიც ამ დროს სამცხე - საათაბაგოს სამფლობელოში შედიოდა. ოსმალეთი ასე მოიწევს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს დასაკავებლად.

იწყება ოსმალეთისა და სპარსეთის შემოსევა-დარბევები, ხოცვა-ჟლეტა, მოსახლეობის გადასახლება და სხვ. მუდმივი მეტოქეობა ჩვენს ტერიტორიაზედ ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. და ბოლოს ჩვენს ქვეყნის მიმართ გამარჯვება თათრებს ხვდათ წილად. თუ შაჰ აბაზმა ქართლ-კახეთის განადგურებით მაინც ვერ შესძლო მისი საბოლოო მოწყვეტა, მისი დაცემის დღესვე ოსმალეთი იბყრობს მთელ სამცხე საათაბაგოს და ცცხლითა და მახვილით ამაჰმადიანებს. ირან ოსმალეთი ურთიერთ ქიშპობით იქამდე იყვენ გატაცებულნი, რომ **ისტორიას არ ახსოვს არც ერთი თუნდაც მცირე მნიშვნელოვანი აქტი,** რომ მათ ბამატის დებულება გაემართლებინოსთ.

ნუ თუ კავკასიის „ბუფერობის" პრინციპი მოითხოვდა შახ აბაზის და აღა-მაჰმად-ხანის მხეცურ მოქმედებათ ქართლ-კახეთში. მცხოვრებთა აოხრებას და ასიათასობით ირანში გადასეხლებას. ოსმალეთის მიერ მთელი ერთი მესამედი საქართველოს ძალით გამაჰმადიანებას და ნახევარ მილიონ ქართველის ოსმალეთში გადასახლებას. ამ საუკუნის ევროპიელი მოგზაურები არა ერთ საზარელ სურათს აღგვიწერენ ოსმალეთ ირანში მყოფ ქართველ ტყვეების. მუსულმანთა ჰარამხანები ავსებული იყო ქართველი ასულებით. მამაცი ქართველი მხედრები ათასობით ეცემოდენ მათთვის შორეული ინდოეთის, ყანდარის და მესოპოტამიის ველებზედ. ამ ეპოქის ქართველი ერის ისტორია იყო მეტად მძიმე და შემზარავი დრამა, და ეს შექმნეს ირან ოსმალეთმა.

აი, როგორ იცავდენ ისინი კავკასიის დამოუკიდებლო-

ბას და ბამატის ნანატრ „ბუფერულ სახელმწიფოს“. რომელ ჭკუათა მყოფელს მოუვა აზრად ეს ჭეშმარიტება უარჰყოს! დიახ, ეს იყო ასე. იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ეს იყო ძველი ირან ოსმალეთის იმპერიალისტური პოლიტიკა და თანამედროვე მათი მდგომარეობა მიიღებს აღნიშნულ პრინციპს. გუშინდელი და დღევანდელი მათი მოქმედებაც სავსებით ამის წინააღმდეგ ლაპარაკობენ.

ზემოდ აღვნიშნე და ვიმეორებ, რომ 1918წ. ვეხიბ ფაშის მოქმედება იყო გაგრძელება სულთან სულეიმანის პოლიტიკის. როდესაც კავკასიის თათრებმა 1918წ. რესპუბლიკა შეადგინეს, მას თურქეთის ზეგავლენით „აზერბეიჯანი“ ეწოდა. ასეთი სახელი აქამდე უცნობი იყო კავკასიისათვის. აზერბეიჯანი ეწოდებოდა და ეწოდება სპარსეთის იმ პროვინციას, რომელიც უშუალოდ აკრავს კავკასიას და რომლის სატახტო ქალაქი არის თავრიზი. „აზერბეიჯნის“ მეორე სახელწოდების შექმნა, ბ. ზ. ავალიშვილის მოწმობით (იხ. მისი „საქ-ოს დამოუკიდებლობა“), შედეგი იყო თურქეთის ამბიციის. რათა ხვალ თვით სპარსეთის აზერბეიჯანი ხელში -ჩაეგდოთ, სპარსეთ კავკასიის მიჯნაზედ შეექმნათ ძლიერი თათრული სამეფო და ადვილად გაევრცელებინათ გავლენა აქეთ კავკასიაზედ და იქით ირანზედ.

მაშ, მეოცე საუკუნეშიც, ოსმალეთი განაგრძობს ძველ კლასიკურ პოლიტიკას, როგორც ირანის ისე კავკასიის მიმართ. (ვინც მოიგონებს ირან ოსმალეთის მეტოქეობის ისტორიას, ნახავს, რომ სწორედ სპარსეთის ეს პროვინცია იყო ხოლმე გადასვლა გადმოსვლის საგანი.) ეს ყველა კი ხდებოდა მაშინ, როდესაც ოტომანთა იმპერიის აღსასრული ახლოვდებოდა და „მკვდარი ადამიანი“ კუბოში ესვენებოდა.

თავის მხრივ არც ირანი ყოფილა გულხელ დაკრეფილი, და იმავე ბ. ავალიშვილის მოწმობით, 1919წ. პარიზის კონფერენციაზედ წარდგენილ ერთ-ერთ მემორანდუმში სპარსელები მოითხოვდენ კავკასიის პროვინციებს, რომელნიც რუსეთმა წაართვა მე-19 ს-ში. (იხ. „კავკაზ“ ნომ. 27).

როგორც მკითხველი ხედავს, ოსმალეთ ირანს არ მიუ-

მართავთ თავისი პოლიტიკის სახელმძღვანელოდ ბამატის სიბრძნისათვის მაშინაც, როდესაც მართლა საჭირო იყო შველა კავკასიის დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის იმპერია ინგრეოდა. დაინტერესებული იყვენ ფრანგები და კიდეც შექმნეს პოლონეთის სახელმწიფო. დამოუკიდებლობა შექმნეს ბალტიის ქვეყნებმა და დაიცვეს. ომის შედეგივე იყო ევროპაში კიდევ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება და ევროპის დიდ სახელმწიფოებმა ისინი დაიცვეს. საქართველომდის უძლური იყო მათი ინტერესი. მორალურად კი ჩვენც დაგვეხმარენ, გვიცნეს ფაქტიურად და იურიდიულადაც და ჩვენთვის ასეთ პირობებში მართლაც შეეძლოთ ირან ოსმალეთს კავკასიის თავისუფლებისათვის გადამწყვეტი როლი ეთამაშათ. **მაგრამ ეს მათ არ მოისურვეს.**

იქნებ დღევანდელი ოსმალეთის ნიადაგზედ შეიძლება ბამატის ზმახების განხორციელება! მადლობა ღმერთს, ესეც ვნახეთ. 1920წ. ე. ი. იმ დღითგან, როდესაც დღევანდელი ოსმალეთი იბადება, ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მოსკოვი შემოსულიყო კავკასიაში. კავკასიურ პრესაში უკვე საკმაო მასალები გამოქვეყნდა იმის შესახებ, თუ რა როლი ითამაშეს თურქებმა აზერბეიჯანის „გასაბჭოების" საქმეში. ხოლო რუსეთ საქართველოს ომის დროს, ოსმალებმა პირდაპირ მოკავშირეობა გაუწიეს მოსკოვს. როცა რუსის უნიფხო ჯარის კაცები ტფილისს უახლოვდებოდენ, ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს ულტიმატუმი გამოუგზავნა სამხრეთის თემების დაცლის შესახებ. საქართველოს მთავრობას წინააღმდეგობა აღარ შეეძლო და როდესაც ტფილისის კედლებთან საქართველოს ბედი სწყდებოდა, ართვინის და არტაანის მხარეები უკვე თათრის ჯარებით იყო დაკავებული.

მერე შევიდენ ბათუმსა და ახალციხეშიც. ქ. ახალციხეში მცხოვრებთა და თათრებს შორის შეტაკებაც მოხდა და მცირე მსხვერპლის შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, რაოგან ჩაერიენ ახლად შემოსული ბოლშევიკების ჯარის ნაწილები. ამ დროს ჩვენ მოწმე ვიყავით ასეთი სურათ-

ის. ქ. ახალციხეს ისევ ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი და მილიცია იცავდა და მის გვერდით გამოცხადდა ბოლშევიკების და ოსმალეთის ხელისაუფლებაც. ოსმალებმა მცხოვრებთ რამდენიმე პროკლამაციითაც მიმართეს და უსაბუთებდენ, რომ ახალციხე მათ „ერგოთ.“ ეს მდგომარეობა გაგრძელდა რამდენიმე კვირას და სწორედ აღდგომის პირველ დღეს თურქის ჯარები სტოვებენ ახალციხეს და გადიან ყარსის ხელშეკრულებით ნაჩვენებ საზღვრებზედ.

ამის შემდეგ გავიდა 17 წელი და აქამდე ოსმალეთის ურთიერთობა ჩვენს მტერთან უცვლელია. 1921 წლის ჯერ მოსკოვის და მერე ყარსის „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებებს მოჰყვა მრავალი მათი დამადასტურებელი პროტოკოლები და კონვენციები, პოლიტიკური თუ ეკონომიური ხასიათის. ასეთ დიპლომატიურ აქტებს ჰქონდა ადგილი: 1925წ. 17 დეკ. დაიდო მათ შორის ნეიტრალიტეტის და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ის განახლებულ იქმნა 17 დეკემბ. 1929წ.; 1930წ. 28 ივლ. და 30 ოქტ.1931წ.; 7 მარტს 1931წ. ანგორაში ხელი მოაწერეს პროტოკოლს საზღვაო შეიარაღების განსაზღვრისათვის. 4 ივლისს 1933წ. ხელი მოაწერეს ლონდონში თავდაუსხმელობის კონვენციას და სხვ...

მაშ როგორც ვხედავთ ეს მეგობრობა აქამდე მეთოდიურად ისევ მაგრდება. პრაქტიკულადაც სწორედ კავკასიის ინტერესების წინააღმდეგ ოსმალეთს არა ერთი აქტი მოუხდენია მოსკოვის საამებლად. სტამბოლში აზერბეიჯანელების პრესის დახურვა, ქართველი ემიგრანტების გადასახლება, თვით ჟურნალ „კავკაზ ალმანაგის“ აკრძალვაც კი (როგორც ამას ბამატის ორგანო გვაუწყებს.)

ოსმალეთი დღეს ისე კმაყოფილია აღნიშნული მდგომარეობით, რომ არც ერთ მის თუნდაც დიპლომატიურ გამოსვლაში, თუნდაც უბრალო ჟესტი არ უჩვენებია კავკასიის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. 1927წ. სტამბოლში ერთი გავლენიანი გაზეთი ..... აქვეყნებდა ქემალის ავტორიტეტულ აზრს, რომელიც დასძენდა, რომ ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს აზერბეიჯანის დამოუ-

კიდებლობა, რათგან ჩვენს ინტერესს სავსებით აკმაყოფილებს საბჭოთა აზერბეიჯანიო. ამიტომ სამართლიანი იყო იტალიის საგარო საქმეთა მინისტრის ჩიანოს გახსენება ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რუშთი არასისადმი 3 თებ. 1937 წელს მილანოში, რათა ოსმალეთი დაინტერესდეს კავკასიის დამოუკიდებლობით.

ეს მდგომარეობა გრძელდება ამ სტრიქონების წერის დღესაც და კიდევ არ ვიცით როდის შეიცვლება ის. ეს დროც არ არის ისე მოკლე, რომ მას „დროებითი" ვუწოდოთ. რათგან ამ ქვეყნად ყოველივე დროებითია, ცხადია ერთ დღეს შეიძლება ეს ურთიერთობაც შეიცვალოს. ხოლო რაც იყო ის უკვე ეპოქაა და მას უნდა დავემყაროთ.

ამგვარად მხოლოდ ბამატებს შეუძლიათ დაწყნარებით უცადონ „ხესაყრელ მომენტებს". ჩვენ კი გვინდა აღვიაროთ და ვიწამოთ ის რაც იყო, რაც არის და რის შესაძლებლობასაც ვხედავთ. მაშასადამე, ჩვენი მოქმედებაც გვინდა ამ რეალ სინამდვილეზედ დავამყაროთ და არა ილუზიებსა და კეთილ სურვილებზედ, ბამატი რომ გვიქადაგებს. ჩვენი ასეთი შეუდრეკელობა კი სრულიად ხელს არ უშლის ჩვენს მეგობრობას, თუ კი როდისმე მათში მართლა აკტიურად გაიღვიძებს ჩვენი დამოუკიდებლობისადმი ინტერესი. ამის დიდი მსურველი ჩვენცა ვართ.

მაშ გამოირკვა: **არასოდეს, არც ისტორიულად, არც გუშინ და არც დღეს ირან-ოსმალეთს არ გაუმართლებიათ, ერთხელაც არ უცდიათ მათი „გარდაუვალი" და „კავკასიისათვის სასარგებლო" ინტერესების განაღდება. არასოდეს ფიქრად არ მოსვლიათ ხელი შეეწყოთ და დაეცვათ კავკასიის დამოუკიდებლობა. პირიქით, მათი მოქმედება იყო მარად აგრესიული და მიილტოდა ძალით დაენგრია დამოუკიდებელი ცხოვრების ის უკანასკნელი ნაშთიც, რასაც კავკასიელნი ასე გმირულად მაინც ინახავდენ ხოლმე.**

იბადება საკითხი: როგორ მოხდა, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ირან ოსმალეთი ვერ მიხვდა ბამატის სიბრძნეს. დრო არის ჩვენთივს ამ ძველს, და სხვე-

ბისათვის ახალს, ბამატის გულუბრყვილო თეორიას ფარდა ავხადოთ.

ვინც აღნიშნულ პრობლემას აყენებს, წარმოუდგენია მარტივი სურათი: ერთის მხრით რუსეთი, მეორეს მხრით ირან ოსმალეთი, და კავკასია მათ შორის. ეს სურათი გარეგნულად მართლაც აკმაყოფილებს აღნიშნული პოლიტიკის ლოგიკას. მაგრამ სულ სხვაა სინამდვილე. ბამატს რომ ჯერ ოსმალეთ ირანის ურთიერთობის პრობლემა გამოერკვია ისტორიულად და კავკასიის საკითხი განეხილა ამ ურთიერთობათა წონასწორობის თვალსაზრისით, მაშინ ის სულ სხვა შედეგებს მიიღებდა. და როგორც ახლავე ვნახავთ, ირან ოსმალეთისათვის კავკასიის როლი ამ სფეროს არ გადაცილებულა. მისი „ბუფეროობისა" და რუსეთის საკითხი კი ჩვენს დროში მსურველთაგან ყურით მოთრეულია.

როდესაც სეფიდების სპარსეთი კიდევ ერთხელ წამოდგება, მცირე აზია აღარ წარმოადგენდა ძველ სცენას, არაბების დროის. მათ შემდეგ იქ მრავალმა ქარიშხალმა გადაიარა. სელჯუკებს მონღოლები მოჰყვენ და მათი დაცემის შემდეგ საფიქრებელი იყო, რომ კვლავ ახალი სპარსეთი მოევლინებოდა ბატონად მცირე აზიას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. აზიიდან ჩამოსულ თურქთა ერთ ერთი ტომი ჯერ კიდევ არაბებთან სამსახურში დაიმსახურებს სამხედრო სახელს. მერე ავტონომიას მოიპოებს. მალე ოსმანთა დინასტია ქმნის ახალ სახელმწიფოს და ჩინგის ხანის მემკვიდრეთა დაცემის შემდეგ ისეთის სისწრაფით იზრდება, რომ სპარსეთს თვალები ებნევა. ამ დღითგან ამ ორ ძალის შორის იწყება ქიშპობა მცირე აზიაში ბატონობისათვის. ხშირად მას ეძლევა რელიგიური ხასიათი (ვითარცა შიიტები და სუნიტები), მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარე იყო. ამ მეტოქეობის პროგრამაში კავკასია და ყირიმიც მიჩნეული იყო საუკეთესო სტრატეგიულ პუნქტებად. ოსმალეთი მიისწრაფოდა თავისი გავლენა სრულეყო ყირიმზედ, დაემორჩილებინა დასავლეთ საქართველო, ჩერქეზეთი და აქედან წასულიყო აღმოსავლეთ კავკასიისა და კასპიის ნაპირებისაკენ. ხელში ჩაეგდო ეს ნაპირები, აზერბეიჯანი და ამ საუკეთე-

სო მსარეში განიარაღებული სპარსეთი თავის ყმად ექ-
ცია. სპარსეთი ამ გეგმას თავისი გეგმით ებრძოდა. ის
თავის მხრივ სცდილობდა მთელი ქართლ-კახეთის სამე-
ფო, სომხეთი, თათართა სახანოები და დაღესტანი თა-
ვის გავლენის ქვეშ ჰყოლოდა, რათა ერთხელ და სამუ-
დამოდ უზრუნველ ეყო ჩრდილო სპარსეთის მდიდარი
პროვინციები ოსმალეთისაგან. ისტორია გვასწავლის,
რომ სასწორი ამ მეტოქეობის დროს, ხან ერთისაკენ ის-
რეზოდა ხან მეორისაკენ. და იმასაც გვასწავლის, რომ
მათ შორის წონასწორობის საკითხს სწორედ კავკასია,
განსაკუთრებით საქართველო სწყვეტდა ხოლმე. აი, რა-
ტომ იყო, რომ ამ დროის განმავლობაში ირან ოსმალეთს
არ შეეძლოთ კავკასიისა და საქართველოსთვის „დამო-
უკიდებელი სახელმწიფოს" თვალსაზრისით ეფიქრათ. მა-
თი მდგომარეობა მათ უკარნახებდა საწინააღმდეგო პოლი-
ტიკას. რომ თვითეულის ცდა იყო ის მის მორჩილებაში
ყოფილიყო. ეს ფაქტი გასაგებს ხდის იმ მოვლენასაც,
რომ ირან ოსმალეთს მაინც და მაინც არ აინტერესებ-
დათ თვით სამეფოს გაუქმება,დასუსტება მის გასატეხად
ყოველთვის, ხოლო რაც უმთავრესია, მისი დამორჩილე-
ბა. ამას იქამდე აშკარად ვხედავთ ისტორიაში, რომ ის
უდავოა. არც ბამატს გვინდა დავსწამოთ მისი უვიცობა,
თუნდაც იმ საუკეთესო შემთხვევის შემდეგ, რაც ბ. ზ.
ავალიშვილის წერილები „კავკასიის პოლიტიკის წარ-
სულიდან" გამოქვეყნდა, მისივე ორგანოში. რაც შესანი-
შნავი დასბუთებაა ჩვენი დებულების. ბ. ბამატის და ზო-
გიერთი კავკასიელი მეზობლის მიდგომა ჩვენი დამოუ-
კიდებლობისა და ირან ოსმალეთთან ურთიერთობის სა-
კითხისადმი გვაფიქრებინებს, რომ ეს ხალხი ნამდვილი
დამოუკიდებლობის გაგებისაგან შორს არიან.

ჩვენის მხრივ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ და სამუ-
დამოდ უკუგდებულ იქმნას ბამატის ილუზიები. რათგან
საკითხის ყალბად გაგება არაფერს სამსახურს გაგიწევს
ირან ოსმალეთთან მეგობრობისათვის. პირიქით, სჯობს
სინამდვილეს რეალური თვალებით შევხედოთ. მაშინ
უფრო ადვილი იქნება დამოუკიდებლობის განხორციე-
ლებაც და მეზობლებთან კეთილ მეგობრული ურთიერ-
თობის დამყარებაც.

რა პირობებში შეიძლება ირან ოსმალეთმა პატივი სცენ ჩვენს თავისუფლებას? ბ. ბამატი და ზ. ავალიშვილიც გვარწმუნებენ, რომ ქემალის ოსმალეთი აღარ არის მურად მესამის იმპერია და პეხლევის ირანი —შახ აბაზის სპარსეთი. თვალები ჩვენც გვაქვს და ვხედავთ. ირანმაც და ოსმალეთმაც დიდი ცვლილებანი განიცადეს. ერთის შეხედვით დღეს მიმქრალია იქ ის ფაქტორები, რომელნიც წინად ხელს უშლიდენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. მაგრამ ჯერ ჯერობით ვერავინ დაგვიმტკიცებს და ვერა ვხედავთ მათში ჩვენი საკითხისადმი უშუალო ინტერესს. მაშასადამე დაგვრჩენია ერთი პირობა და მხოლოდ ერთი. ეს ის, რომ უწინარეს ყოვლისა ჩვენ ჩვენი საკუთარი ძალებით, ჩვენი სისხლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება. არა სხვების დახმარებაზედ ოცნებით, არამედ ჩვენისავე საშუალებებით უნდა დავიცვათ ის. არა სხვისადმი „ბალი-აღობის“ ძახებით, არამედ მუდმივ შეურიგებლობით, და სრული თავისუფლების იდეის პროპაგანდით უნდა აღვზარდოთ ჩვენში დამოუკიდებელი სული. ჩვენი აზრები და ფიქრები უნდა ემყარებოდენ ჩვენსავე საკუთარი უნარისადმი რწმენაზედ. არა მხდალი დიპლომატია, ჩოქებ-ჩოქებით ღმერთო-ღმერთოს ძახილი, არამედ მუდამ შეუპოვრად დგომა საკუთარ პოზიციებზედ და საჭირო დროს თავის დადებაც. აი, რით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენი მეზობლების თანაგრძნობა. აი, რის შემდეგ შეუძლიათ მათ სცენ პატივი ჩვენს თავისუფლებას. და როდესაც ისინი დაინახავენ, რომ ჩვენ ნამდვილათ ვიცავთ კავკასიონს გოგის და მაგოგისაგან, მაშინ შეიძლება უფრო ადვილად გაგვიწიონ მეგობრობა. უწინარეს ყოვლისა უნდა ვაჩვენოთ ძალა; მტერსაც და მოყვარესაც, და ჩვენის ღრმა რწმენით, თუ კი როდისმე ბამატის თეორიას განხორციელება უწერია, ეს მხოლოდ აღნიშნულ პირობებში შეიძლება მოხდეს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ რუსეთის ტახტის დასაცავად 200 ათასი მხედარი გამოვიყვანეთ და საკუთარი დედაქალაქის დასაცავად გვყავდა მხოლოდ 9,600 კაცი, მუსტაფა ქემალს უფლება ჰქონდა ჩვენთვის ნაღვლიანი ირ-

ონია დაეყარა და თავისი ჯარები დაეძრა საქართველოსაკენ.

ეს არის გარდაუვალი ორგანიული კანონი. როდესაც ერთ არსებას გამოეცლება არსებობის ენერგია, მეორე ესწრაფვის მის შთანთქმას და საკუთარ ძალთა გაძლიერებას.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს ეს ძალა ჯერ არ გამოლევია, და თუ აღნიშნული გზით ივლის, დამოუკიდებლობის დღესაც მოესწრება და მეზობელთა შორის პატივსა და დიდებასაც დაიმსახურებს.

ბ. ზ. ავალიშვილის ლაშქრობა სამცხე - საათაბაგოზედ

უკანასკნელად ქართულ ემიგრაციაში „კავკაზ"მა დიდი მღელვარება გამოიწვია. ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ ამ ორგანოს პოზიცია ახალი არ ყოფილა. მას აქა იქ წინადაც უთქვამს ბევრი აღმაშფოთებელი, და გამოძახილიც იყო ქართულ პრესაში. სანამ ამ როლს მენშევიკური პრესა ასრულებდა, ზოგს საკითხი პარტიულ ნიადაგზედ ეჩვენებოდა. ბ. ბამატს რომ ქართველებთან პარტიული დავა არ უნდა ჰქონოდა ეს ცხადია, მაგრამ ის წაათამამა იმ გარემოებამ, რომ მას ზოგიერთი ნაციონალისტი ქართველები ზურგს უმაგრებდენ. ცხადია, ისინი შეცდენ „კავკაზის" დაფასებაში. უნდა ახდილად ვსთქვა, ჩვენთვის თავიდანვე უნდობლობას იწვევდა მისი გზა. ის თავიდანვე ერევა ჩვენს შინაპარტიულ საქმეებში. სწერს მენშევიკებზედ, სწერს თეთრი გიორგიზედ და სხ. ჩვენ თავი შევიკავეთ აქამდე, მხოლოდ ერთი. მოსაზრებით, თუ „კავკაზი" ცოტა ზომიერ ფარგლებში იმოქმედებდა, იქნებ ოდნავ სამსახური გაეწია კავკასიის საკითხისათვის. მაგრამ მალე ეს იმედებიც გაქრენ.

თვით ფაქტი ჟურნალ „კავკაზის" რუსულ ენაზედ გამოსვლისა მაინც და მაინც ვერ ამართლებდა კავკასიის დამოუკიდებლობის პრინციპს. აქეთგან ყველას ერთი დასკვნის მიღება შეეძლო: რომ კავკასიელთ სურთ დამ-

ოუკიდებლობა, მაგრამ მათი ურთიერთ გაგება შეუძლებელი ყოფილა რუსული ენის გარეშე. ბოლოს „კავკაზმა“ მიხვეულ მოხვეულ გზებსაც ულალატა და თავისი გულის ნადები პირდაპირ წამოაყრანტალა. ე. ი. ბამატს სურს კავკასია დააცილოს რუსეთს და რაიმე ფორმით მიაკრას ირანსა და ოსმალეთს, სჩანს უფრო კი უკანასკნელს. (არ ვიცით მისგან ასე რით არის დავალებული, რომ მის ორგანოს ძირითადი მისწრაფება სწორედ ოსმალეთისკენ არის და ირანი გამოყენებულია ვიწრო განზრახვის დასაფარავად).

პირველად მან განაცხადა, რომ ის სცნობს ოსმალეთთან ყარსის ხელშეკრულებით დადებულ საზღვრებს. ცხადია, თვალების დახუჭვა და მიღება იმ აქტის რომელთა ავტორების წინააღმდეგ იბრძვის „კავკაზი“, არაფერი დიპლომატიაა, და სწორედ ამაშია ღირებულება მისი იმ სიმპატიების, ვისთვისაც გაწეულია ეს ხარჯი.

ბ. ბამატს კარგად ესმის, რომ ოსმალეთის გულის მოგება ამით არ შეიძლება, რათგან აღნიშნული ტერიტორია მათ ხელში აქვთ და ბოლშევიკები ჯერ არ ედავებიან. ამიტომ ბამატი კიდევ შორს უნდა წავიდეს. ჯერ მკითხველი უნდა შეაჩვიოს იმ აზრს, რომ მთელი სამცხე- საათაბაგო სამუდამოდ დავიწყებულ იქმნას. რომ ამაზედ საშვილიშვილოდ ხელი უნდა აიღოს საქართველომ. ამის შემდეგ ერთი ნაბიჯია ბათუმამდე. რათგან არტაანი და ჭოროხის ხეობა მას დასცქერის. მისი საქონელი ბათუმის ნავთსადგურით უნდა იზიდებოდეს, და სრულიად ბუნებრივია, რომ ბათუმიც მას ეკუთვნოდეს, ვის ხელშიც მისი მიმდგომი ტერიტორიაა. გარდა ამისა ბათუმი ხომ მთელი კავკასიის ნავთსადგურია! (რა ფასი ექნებოდა ბაქოს უბათუმოდ!) რათგან ეს ასეა, ბათუმის ბედიც ბამატის „კონფედერაციაში“ უნდა გადაწყდეს. მოკლედ ოსმალეთის გულის მოსაგებად კონფედერაციის უმრავლესობა, აზერბეიჯანი და მთის „ოცდა ერთი“ რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარომმადგენელი ბამატი, ცხადია, ბათუმსაც მას დაუთმობენ!

აქეთგან ნათელია ბამატის მოღვაწეობის ლოღიკა. თუ ის როგორ მეთოდიურად ახერხებს საქართველოს დამო-

უკიდებლობის განიარაღებას. ამაზედ უკეთეს იარაღს ჩვენი ქვეყნის მტრები ვერსად იპოვიდენ.

ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებს, რომ ვინმე გადაგვარებული მთიელი საქართველოს პატივს არ სცემდეს. განსაცვიფრებელი და აღსაშფოთებელიც ის არის, რომ მისი დებულების დაფასება და პროპაგანდა იკისრეს ზოგიერთმა ქართველებმა. მათ შორის იმყოფება ჩვენი ყოფილი მთავარ სარდალი, რომელიც გუშინ იარაღით ხელში იბრძოდა იმ ტერიტორიისათვის, რომელსაც დღეს მტერს უდასტურებს. შ. ამრეჯიბი, ერთი ყოფილი ხელმძღვანელთაგანი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის, ისიც გუშინ თოფით ხელში ტყეში იყო გაჭრილი. ებრძოდა ბოლშევიკებს, დღეს კი მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებას ტაშს უკრავს.

ამ საქმის თეორეტიკოსი მაინც ბ. ზ. ავალიშვილი ბრძანდება. მან იკისრა ბამატის დებულებისათვის „მეცნიერული“ და „დიპლომატიური“ გამართლება მოენახა. ის ამ მხრივ აღმასრულებელია ვილაცის კარნახის, რომელიც გადაეცემა ბამატის საშუალებით. ბ. ავალიშვილმა გზა და გზა მეტად არა ჭეშმარიტი ცნობებიც გამოაქვეყნა და უვიც მკითხველს თვალები აუხვია სინამდვილის წინაშე.

2

ბ. ავალიშვილი გვიქადაგებს, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს სამაჰმადიანო საქართველოზედ. ქართველობა მასზედ თურმე არც ფიქრობს სერიოზულად! აქა-იქ თუ გაისმის „წუწუნი“, ისიც ახალგაზრდობაში, მას პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს. ასე ფიქრობს ის და ამავე დროს მაინც მასზედ ლაპარაკობს. ამბობს და არც თვითონ სჯერა, რათგან დასძენს: „სიცხოველე და უცვალებლობის ძალა ამ სამზღვრებს რა თქმა უნდა არა აქვსო“. ცხადია, ის ვერც ჩვენ ისტორიულ უფლებებს უარყოფს. მაშ რა მოხდა? თუ მხოლოდ დღევანდელს პირობებში არ ღირდა ხმის ამოღება, ამაზედ ვინ რას ამბობს. ხოლო ვილაცების გულის მოსაგებად ნუ თუ მოვალე ვართ განვაცხადოთ,

რომ ჩვენ საშვილისვილოთ ხელს ვიღებთ საუკუნოებით ჩვენ წინაპართა სისხლით მორწყულ მიწებზედ! ვინ სთხოვს ასეთ გარანტიას ბ. ავალიშვილს, ან რატომ? ან ვინ აღჭურვა ის ასეთი უფლებებით, თუ დიპლომატობს. ხოლო თუ ის პიროვნულ აზრებს ქადაგობს ვერც ამას მოვუწონებთ. ვერაფერი მამულიშვილობაა, რომ ასეთი დამამცირებელი ხმები ჩავსძახოთ ახალ თაობებს?! ან ის რატომ არის მიუღებელი, ესა თუ ის პოლიტიკური მიმართულება ეროს თავის ისტორიულ საზღვრებში აღდგენას მოუწოდებდეს. თუ ეს არ არის ტაქტიკური, ის რაღა ტაქტიკაა 18 წელი ებრძოლო ბოლშევიკებს და მერე, ჩვენთვის ყველაზე მომაკვდინებელი მათი აქტი დაადასტურო; და ამტკიცო მისი ჭეშმარიტება უფრო „მეცნიერულად", ვიდრე ისინი იზამდენ ამას!?

ბ. ავალიშვილი გვაუწყებს, რომ მთელი ის ნაწილი ქართული ტერიტორიის, რომელიც თურქებს უკავიათ, ქართულს აღარაფერს შეიცავს, მათ ქართული ენაც აღარ იციან, მოკლედ მთლად გადაგვარებული ყოფილან. კიდევ მეტი, ზოგიერთი ქართული პროვინციები ყოველთვის ქართული კულტურის გარეშე ყოფილან. ის სწერს: „ქართველთა შორის ხანდისხან ისმის აგრედვე წუწუნი იმის შესახებ, რომ ლაზისტანში იღუპებიან ქართველების და განსაკუთრებით მეგრელების სისხლით ნათესავი ლაზები. მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა ამ წუწუნს მაინც არა აქვს. გამოტეხით უნდა ითქვას, რომ ლაზისტანი საზოგადოთ ქართული პოლიტიკისა და კულტურის გარეშე იდო." (კავკასია ნომ. 3) ჯერ უნდა შევნიშნო, რომ პატრიოტს და მეცნიერს არ შეეფერება ასეთი გამოთქმა: ქართველებისა და განსაკუთრებით მეგრელების სისხლით ნათესავი ლაზები." და მერე, რას ემყარება, როდესაც ამ მხარეს ის ქართული კულტურის გარედ აცხადებს? ის იმოწმებს 1914წ. ნ. მარის მოგზაურობას, რომლის აზრით ლაზები გადაგვარებული ყოფილან. თუ ერთი პირის მოგზაურობა ასეთ საბუთად გამოდგება, ჩვენ მეტსაც მოვახსენებთ. და ბოლოს რა მიუხწეველი მხარეა ლაზისტანი, ის ხომ ახალი ზელანდია ან მადაგასკარი არ არის. 1930წ. იქ ჩვენ პირადად გამოვიარეთ,

ამავე ხანებში იქ გამოიარა, და კარგა ხანსაც იცხოვრა ათასზედ მეტმა ქართველმა. ჩვენ შევაგროვეთ მრავალი მასალები და დასკვნა სწორედ საწინააღმდეგოა. მართალია ერთი რამ, რომ ლაზების ერთი ნაწილი, ყველა მაჰმადიან ქართველებზედ მეტად არის გადაგვარებული. რაც გამოიხატება მხოლოდ ენის დავიწყებაში. უკანასკნელი კი ეხება ისეთ ლაზებს, რომელნიც სავაჭრო ან სხვა მიზნით თავიანთ მიწას მოცილებულნი არიან. თვით ამ ნაწილში, დღესაც სცოცხლობს ხსოვნა მათი ვინაობის მათი სამშობლოს და ყველა მათგანი ამაყობს, რომ ის ლაზია. ლაზების დიდ ნაწილზედ არას ვამბობ, რათგან მათ ენაც დაცული აქვთ და ტრადიციებიც. დიდი უსამართლობა იქნებოდა აგრეთვე, ლაზების ქართული კულტურის გარედ გამოცხადება. რათგან ყველამ ვიცით, რომ ქრისტეს წინა და შემდეგი პირველი საუკუნეების ქართული კულტურის ავტორები სწორედ ისინი არიან. ლაზები და კოლხები იყვენ, რომ ჩვენ გვაკავშირებდენ ელინთა კულტურულ სამყაროს. მათივე წყალობით მოხდა, რომ იმდროინდელი ბერძენი მწერლები ქებით მოიხსენებენ ქართველობას. რათგან არა ერთ ქართველ პოეტს უსახელებია თავი ბერძენთა შეჯიბრებებში. ლაზები პოლიტიკურადაც და კულტურულადაც, მთელი საუკუნეების განმავლობაში დანარჩენ ქართველ ტომებთან და დედა საქართველოსთან ერთად იყვენ. მთელ დასავლეთ საქართველოში კოლხთა პოლიტიკურ დომინაციას ბიზანტიის ხანაში სცვლის ლაზთა დომინაცია. მხოლოდ მერვე საუკუნის შემდეგ მათ სცვლის აფხაზთა დინასტია და ბოლოს გაერთიანებულ საქართველოში ლაზები ისევე შედიან, როგორც ყველა დანარჩენი ქართველობა. მართალია, ლაზისტანის ერთი ნაწილი რჩება ბიზანტიის გავლენის ქვეშ, მაგრამ თვით ბიზანტიის დაშლისა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით, არა მარტო აქ შემავალი ლაზები, არამედ ეს იმპერიაც, როგორც ვიცით, საქართველოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მე-15ს-ში ტრაპიზონის დაცემის შემდეგაც ლაზისტანი შედის სამცხე-საათაბაგოს სამთავროში. შემდეგ ის გადადის გურიის ხელში. თურქები მას იბყრობენ მე-15ს. მი-

წურულში. მე-17ს. დასაწყისში გურია მას კიდევ ერთ-ხელ დაიბრუნებს, მაგრამ მალე კვლავ დაჰკარგავს. აქეთგან სჩანს, რომ თუმცა ის ცოტა ადრე მოექცა თურქების გავლენის ზონაში, მაგრამ მისი პოლიტიკურად საბოლოოდ მოწყვეტა მაინც იმ ხანაში ხდება, როცა მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალებს უვარდებათ ხელში. აი, რა უნდა ვიცოდეთ ლაზისტანზედ. ე. ი. ის პოლიტიკურადაც და კულტურულადაც მუდამ ჩვენთან იყო. იქ დღესაც დარჩენილია ერთგვარი ეროვნული შეგნება.

საქართველოს დანარჩენ ნაწილებზედ (არტაანი, ართვინი და სხ.), რომელთა გადაგვარებას არც მარი და არც სხვები არ გვიმოწმებენ, ბ. ავალიშვილი სწერს: „ცნობები, თუ რა ხდება ამ ადგილებში, ცოტაა. 1927წ. აღწერის მიხედვით ქართულად მოლაპარაკენი აღნიშნულიც კი არ არიან.“ ამაზედ მეტ დაცინვას მტერიც ვერ გაბედავდა, ნუთუ ესაა საბუთი ჩვენთვის! სულ რამდენიმე წელია, თვით ბ. ამირეჯიბმა იქ გამოიარა და ბ. ავალიშვილისათვის ძნელი არ იქნებოდა მისთვის მაინც ეკითხა, ართვინში ქართულს ლაპარაკობენ თუ არა. ეს ფაქტი კი მის საწინააღმდეგოდ ძვირფას ცნობას გვაწვდის. აღნიშნული აღწერითგან ირკვევა, თუ როგორის სისასტიკით ებყრობა ოსმალეთი ქართველთა ეროვნულ საკითხს. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ იქ ყველა ქართველი თურქად არის გამოცხადებული. ეს გასაკვირველი არ არის მას შემდეგ, რაც დღევანდელი თურქობა თავს მცირე აზიის უძველეს სუმერთა და ხეთელთა მემკვიდრედ აცხადებს. თურქეთის გავლენით, შიგნით, ჩვენ დღევანდელ ტერიტორიაზედაც კი ასეთ სურათებს აქვს ადგილი. 1926წ. საქართველოში ჩატარდა აღწერა. ახალციხის მაზრაში დაახლოებით 95,000 მცხოვრები აღმოჩნდა. მათ შორის 12—15 ათასი სომეხია. ათასამდე თარაქამა, უმნიშვნელოვე ნაწილი ბერძნები და დანარჩენი ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანებია. თვით მაჰმადიანების 90% ქართულს ლაპარაკობს. ოფიციალურმა აღწერამ კი იქ მხოლოდ 15 ათასი ქართველი და 60 ათასზედ მეტი თურქად გამოაცხადა. ამ მაზრაში ნამდვილი თურქი ერთიც არ არის. ამ დროს ახალციხეში ხელისუფ-

ლების სათავეში იდგენ აზერბეიჯანელი კომუნისტები. ამაო იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა...

ამის შემდეგ ვის უნდა გაუკვირდეს, რომ ოსმალები თავიანთ ტერიტორიაზედ მცხოვრებ ქართველებს თურქებად აცხადებენ! და ამის მიხედვით გვაქვს უფლება ქართველობა გადაგვარებულად გამოვაცხადოთ?!

ბ. ავალიშვილი დასძენს: „ძველი ოსმალეთის ობსკურანტიზმის პირობებში ქართული მოსახლეობის ნაშთის ეროვნული გათახსირების საქმე მის ტერიტორიაზედ დიდის წარმატებით მიდიოდა... რა ნაყოფს გამოიღებს ახალი განათლება ოსმალეთის ამ სანაპიროზედ, ამის მსჯავრი ჯერ კიდევ ნაადრევია.“ ეს კონცეპციაც ყალბია. ბ. ავალიშვილს ავიწყდება, რომ ეს „ობსკურანტიზმი“ მაშინ სწორედ საუკეთესო პირობა იყო ქართველთა ეროვნული მეობის შენახვისათვის. მაშინ უმთავრეს როლს რელიგია თამაშობდა და ერთხელ გამაჰმადიანებული ქართველობა უკვე თურქებზედ მეტი ნდობით სარგებლობდა. სამაგიეროდ თავისუფლად ლაპარაკობდენ ქართულს, ინახავდენ ზნე ჩვეულებას და ქართველობას საჯაროდაც თავისუფლად ამყღავნებდენ.

მნახველთაგან მსმენია, რომ თურქეთის სამხედრო სამინისტროში კრებებზედაც კი მსჯელობდენ ქართულად. (მხედრობის დიდ პროცენტს შეადგენდა ქართველობა). ახალ ოსმალეთში კი ყოველივე დახშულია. ქართველი მოსახლეობა ერიდება ქართულად ლაპარაკს. განსაკუთრებით სანაპიროებზედ. საზოგადოებაში კი ეკრძალებათ. აკრძალული აქვთ ქართული წერა კითხვის სწავლება, თუნდაც კერძო გზით და სხ. ჩემმა მეგობრებმა, რომელთაც რამდენიმე წელი იცხოვრეს შუაგულ ოსმალეთში ქართველთა კოლონიებში, შემდეგი საინტერესო ამბავი გადმომცეს. ქართველი მაჰმადიანები თურმე უფრო ფანატიურად იცავენ ისლამს, ვიდრე თურქები და ესეც ყოფილა ერთი მიზეზი, რომ ახალი თურქეთი მათ დიდის სიყვარულით არ ებყრობა. ეს ხომ ბედის დაცინვაა! ერთ დროს სდევნიდენ მაჰმადიანობის მისაღებად, ეხლა სდევნიან რატომ ხართ კარგი მაჰმადიანებიო!

ყოველი ქართველი მაჰმადიანი, რომელიც ძველად

ოსმალეთზედ ოცნებობდა, ამისათვის ჰღალატობდა დედა საქართველოს, დღეს იქ ყველა დევნილია. თვით ჩვენი მოღალატე სერვერ -ბეგ -ათაბაგიც მალე იქმნა გაძევებული ანგორის საკანონმდებლო დაწესებულებიდან და დღეს უბრალო მოხელის როლში იცოხნის თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. ჩვენ ზოგიერთი შემზარავი ამბავიც გვსმენია. მთელი სამცხე-საათაბაგოს არისტოკრატია — ბეგები იქ არიან გადახვეწილი. იქ შეხვდებით შემდეგ გვარებს: ხიმშიაშვილებს, ვაჩნაძეებს, ერისთავებს, მაჩაბლებს, ბარათაშვილებს, ავალიშვილებს, ფალავანდიშვილებს და სხ. ეს ხალხი სანამ საქართველოში იყო მუდმივ ოსმალეთისაკენ ეჭირათ თვალი. დღეს კი ბედს იწყევლიან და დღე და ღამე საქართველოს თავისუფლებასა და იქ დაბრუნებაზედ ოცნებობენ....

ეს ვიკმაროთ, კალამი იმიტომ არ გვეჭირავს, რომ ყველაფერი დავსწეროთ. ზოგადათ კი ვიტყვით: საქართველოს იმ სექტორში, რომელიც დღეს ოსმალეთს უჭირავს ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრები ითვლება. იქ ენაც არის დაცული, კულტურაც, ადათ - ჩვეულებებიც და საქართველოს პატივისცემის ღრმა გრძნობებიც. ეს უდავოა და როდესაც ოფიციალურად დაისმება მისი საკითხი, ეს მოხდება ბოლშევიკების დროს თუ გვიან, არასოდეს მოსახლეობა არ გახდება მსჯელობის საგნად. ეს ორივე მხარესათვის უდავო ჭეშმარიტებაა.

3

როდესაც ბ. ავალიშვილი საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილს და იქ მოსახლე ქართველობას გვავიწყებს, ჩვენ არ შეგვიძლია, სხვაც არ გავიხსენოთ, ორი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა ქართველთა ოსმალეთში გადასახლება. მარტო 1829წ. როცა პასკევიჩმა ახალციხე ახალქალაქი აიღო, მთელი ახალქალაქის მაზრის და დიდი ნაწილი ახალციხის მოსახლეობისაც ოსმალეთში გადაიხვეწა. დაბოლოს ოსმალეთში თავი მოიყარა დიდ ძალმა ქართველობამ. იქ შეიქმნა მთელი კოლონიები. ქართველობა იქ დასახლებულია მრავალ სოფლებად. უმთა

ვრესი ცენტრებია: ბურსას ვილაიეთი, კონიის, ამასიის და სხვ. ყველაზედ მეტი მოსახლეობა მარმარილოს ზღვის ნაპირებზეა. შავი ზღვის ნაპირებზედაც, ნავთსადგურებზედ სავსეა ქართველი მოსახლეობა. იქ შეხვდებით ოსმალეთის დიდ მრეწველ ქართველებს, ვაჭრებს. ადმინისტრაცია, პოლიცია, მხედრობა, სავსეა ქართველებით. ისევე როგორც ძველად. იმ განსხვავებით, რომ დღეს ხმა მაღლა ვეღარ ყვირიან მათ ქართველობას. ოსმალეთში მყოფი ქართველობა ყოველთვის დიდ სამსახურს უწევდა მათ. ასეთ ერთგულ სამსახურ უწევენ ისინი ახალ ოსმალეთსაც. და სიმართლე უნდა ითქვას, რომ იქ ქართველობა ყველა ერებზედ ნაკლებათ ყოფილან დევნილნი. ოსმალეთიც მათ ნიჭს და ღირსებას აფასებდა. ქართველებს დიდს პატივსა სცემენ. ქართველების რიცხვი შუაგულ ოსმალეთში ნახევარ მილიონს აღწევს. და განსაცვიფრებელია, რომ ეროვნული ტრადიციები და ქართული ენა მათში უფროა დაცული ვიდრე სანაპიროებზედ.

გვესმის, დღეს არ იყო დრო ამაზედ ლაპარაკის, მაგრამ პოლიტიკურმა სიბეცემ ზოგიერთი ქართველებისა გვაიძულა ეს გვეთქვა, გული გვეურჩის და გრძნობა გვაწუხებს. ხუმრობა ხომ არ არის, ერთი მილიონი ქართველის ბედზედ სამარადისოდ გავჩუმდეთ! მაშინ როდესაც მთელ საქართველოში სამი მილიონი ძლივსა სცხოვრობს. ასევე კარგა რიცხვის ქართველობა სცხოვრობს სპარსეთში. მათაც დაცული აქვთ ენა და სხვა ტრადიციები. და ერთხელ ხომ მაინც დაისმება ქართველების წინაშე მათი სისხლით განუყრელი ძმების საკითხი. ჩვენთვის უდავოა, რომ დღეს თუ ხვალ საქართველო განთავისუფლდება, ის აღსდგება, ის განვითარდება, ის გაიზრდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მომავალი ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან იქნება მეგობრული. ეს მოხდება არა ბამატის ნაჩვენები გზით, არამედ ურთიერთის პატივისცემითა და საერთო ინტერესების გაგების ნიადაგზე. არა გვგონია რომ განახლებულმა ირან ოსმალეთმა თავიანთი დიდებისათვის ეს გზა არ აირჩიონ. ასეთ შემთხვევაში კი გარდაუვალი გახდება ერთი მილიონი ქართველის საკითხის დასმა. და იმის იმედიც გვაქვს, რომ მეოცე საუკუნეში ირანი და ოს-

მალეთი მის კულტურულად გადაჭრას გვერდს ვერ აუხვევენ. ყველა ამის შემდეგ რა სასაცილოდ მოსჩანან მოქმედებანი იმ ადამიანთა, ვინც დღიურ ვნებათა ღელვის ან წვრილმან ანგარიშების აყოლით ამ რეალობას უარყოფენ!

4

ბ. ავალიშვილმა ტაო-კლარჯეთი და მთელი სამხრეთ საქართველო არქეოლოგების მოქმედების ასპარეზად გამოაცხადა. რომ იქ პოლიტიკოსს აღარაფერი საქმე არა ჰქონია. მას რომ ერთხელ მაინც ჩაევლო ქართველთა დიდების და შემოქმედების ამ დაუვიწყარ სავანეში, რომ მას ერთხელ მაინც თავისი თვალით ეხილა ის მიწები, საუკუნეთა მანძილზედ ჩვენს წინაპართა სისხლით რომ ირწყებოდა — ნახავდა, რომ არქეოლოგებზედ ადრე ის სწორედ პოლიტიკოსების და სარდლების ასპარეზია. ისეთი სარდლების, ვის ძარღვებშიც წინაპართა სისხლი ჩუხჩუხებს, ვის გულსაც მათი საგმირო თავგადასავალი ატოკებს. ავტორი იქ მონასტრების გვერდით ნახავდა ათასჯერ მრავალს ციხე -სიმაგრეებს. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ბასტიონი. აქ იცავდენ დიდი ქართველი მეფეები, დიდი სარდლები და მამულიშვილები მთელ საქართველოს. აქ ტყდებოდა და აქ იჭედებოდა ჩვენი ქვეყნის ბედისა და უბედობის კვერთხი. აქ იხდიდენ ქართველები პირველ ბრძოლებს, და აქვე ეყრებოდა საფუძვლები ჩვენს კულტურას მწერლობა, ხელოვნებას და სხვ.

მოგზაურობთ იმ მიდამოებში, სადაც ოდესღაც გრიგოლ ხანცთელის ამქრები აგებდენ ქართული ხუროთ მოძღვრების დაუვიწყარ ძეგლებს; სადაც წმიდა მამები ქადაგობდენ ქრისტეს სჯულს; სადაც გაისმოდა განუწყვეტლივ ზარის რეკა; სადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობის მუხა იფურჩქნებოდა და შეძრწუნებულს თვალ წინ გეშლებათ მთელი ისტორია, სადაც ხედავთ ძველ ქართველებს, მათ ჭირსა და ლხინში, მათ ბრძოლასა და შემოქმედებაში. იცავენ კერას, იცავენ მამულს, იცა-

ვენ სჯულსა და საკუთარ ეროვნულ მეობას. დღეს რომელ ქართველს ეპატიება მათი დავიწყება! ჩვენ ხომ მარტო აწმყოთი არა ვსცოცხლობთ. ჩვენი მთავარი მასაზრდოებელი ხომ წარსულია. ჩვენი სულის ჩამდგმელნი და წამქეზებელნი ხომ ჩვენი ისტორიული გმირების მოგონებანი არიან! მაშ რას დაემსგავსებოდა ჩვენი არსებობა, რომ ყოველივე წარსული დავიწყებას მისცემოდა!

რა პირით უნდა წარვსდგეთ ხვალ ჩვენს დიდებულ წინაპართა: დავით დიდის, ხანძთელების, მთაწმინდელების, შავთელების, თმოგველების, ზარზმელების, თორნიკეების, რუსთაველების და ბოლოს მამულისათვის უღვთოდ აღსრულებულ ორი დიდი რაინდის ივანე და შალვა ახალციხელების წინაშე!..

5

როდესაც ბ. ავალიშვილს უსაყვედურეს ეს, თავის მართლებისათვის მან თურქეთ- საქართველოს 4 ივნისის ხელშეკრულება დაასახელა. მეტად სამწუხაროა, რომ ისიც ასეთ სადემაგოგიო ხერხს მიმართავს. რათგან მან ყველაზედ უკეთ იცის, რომ ეს შედარება უმართებულოა. მაშინ ხელშეკრულებას ხელს აწერდა თავისუფალ სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი. დღეს სწერს თავისუფალი მოქალაქე. ხოლო თუ მაშინდელი აქტი ჩვენი ქვეყნისათვის საზიანო პირობებს შეიცავდა, არ ვფიქრობ, ეს შედეგი ყოფილიყო ნ. რამიშვილის სოციალისტობის ან გ. რცხილაძის ფედერალისტობის (იმავე შ. ამირეჯიბის ლიდერი გ. გვაზავა რომ არ ვახსენო). რათგან ვიცით, რომ მაშინ ჩვენსა და ოსმალეთს შორის ძალთა წონასწორობა აიძულებდა ქართველ წარმომადგენლებს მიეღოთ ოსმალეთის კარნახი. ხოლო ემიგრაციაში თავისუფალ მოქალაქეს არავინ არაფერს აიძულებს. ის არ გამოდგება თავისი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლობისათვის. ეს ძალიან კარგათ ესმის მოწინააღმდეგეს და კერძო პირებთან ყოველნაირ ურთიერთობას აქვს კერძო კომბინაციების სახე. აქ, ემიგრაციაში ჩვენი ქვეყნის მიერ არავითარი უფლებებით არა ვართ

აღჭურვილი. მას შემდეგ 18 წელი გადის. დრომ ისიც მოსპო ვისაც საამისო რამე გააჩნდა. ხოლო ჩვენი მორალური უფლებაც და მოვალეობაც ის არის, რომ მუდმივ უდრეკლად ვიცავდეთ ჩვენს მიწა-წყალს. ამას უნდა ვქადაგობდეთ განუწყვეტლივ, რათა მებრძოლ ერს მუდმივ ვამხნევებდეთ თავის გასაჭირში. ვისაც ამის გამბედაობა არა ჰყოფნის ან უადგილოდ მიაჩნია, გაჩუმდეს, ამისათვის მას ციხეში არავინ ჩასვამს.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ბ. ავალიშვილის ანალოგია მისაღებია. ის რა თავის მართლებაა, მოპირდაპირეს მსგავს მაგალითს ასახელებდეთ! ეს იმას ჰგავს — ქურდმა თავი იმართლოს იმით, რომ ჩემზედ წინ სხვამ იქურდაო!... მენშევიკური მთავრობის აქტი, რომ კიდეც დანაშაული ყოფილიყო, ეს ხომ ვერ გაამართლებს ბ. ავალიშვილის გამოსვლას!

ქართველი ერის და საქართველოს არსებობის საკითხი არც ერთი ხელშეკრულებით და არც ერთი მთავრობის შეხედულებებით არ განისაზღვრება. ერს ეროვნული აზრი განაგებს; მთავრობა მისი დროებითი აღმასრულებელია. მისი ინტერესთა ზოგჯერ სწორი გამომხატველი, ზოგჯერ მცდარი. ხოლო ეროვნული აზრის შექმნაში დიდ როლს თამაშობენ მისი მოწინავე შვილები. ბ. ზ. ავალიშვილიც ასეთ როლშია გამოსული. ამიტომ მას ჩვენ მეტს მოვსთხოვთ. მისი ყოველი სიტყვა აწონ- დაწონილი და ეროვნული ღირებულების საზომით უნდა იყოს დაფასებული. ის რაც უბრალო, მოხალისე კალმოსანს ეპატიება, ბ. ავალიშვილს ვერ ვაპატიებთ. რათგან მსგავს პირთა ნათქვამ -ნაწერს აქვს უაღრესად აღმზდელობითი მნიშვნელობა.

დასკვნა. საქართველოს საზღვრების საკითხი დღეს მოსკოვისა და ბოლშევიკების სურვილებს ექვემდებარება. მაშასადამ პრაქტიკულად მხოლოდ მათ შეუძლიათ მისი დასმა. მაგრამ ჯერ-ჯერობით მოსკოვ ანგორის ურთიერთობაში საამისო ნიადაგი არა სჩანს. ამიტომ საკითხი. ~~მაშასადამე პრაქტიკულად მხოლოდ მათ შეუძლიათ~~ ვით რა მოსკოვს, უარვყოფთ ყველა იმ აქტებს, რომელიც მან თავს მოახვია საქართველოს. ყველა ჩვენი ნათ-

ხოლოდ ჩვენ. ეს [illegible] ჩვენი [illegible]. ჩვენ[illegible]

ქვამი და ნაწერი არის იდეური ხასიათის და დაპირისპირებული უწინარეს ყოვლისა მოსკოვისადმი, ხოლო ოსმალეთისადმი იმდენად, რამდენადაც მისი 1921წ. მოქმედება ჩვენს მიმართ იყო აგრესიული.

მიუხედავად ჩვენი ასეთი კანონიერი პოზიციის, რამდენადაც ჩვენ გვახსოვს, ქართველი საზოგადოების არც ერთ წრეში ეს საკითხი მსჯელობის საგანი არ გამხდარა. მას შევეხეთ მხოლოდ ჩვენ, თეთრი-გიორგელები. ამ მოძრაობის შექმნიდან 7—8 წლის განმავლობაშიც არაფერი გვეთქვა. 1934წ. გაზ. „მომავალში" (იხ. ნომ. 7და 8) გამოქვეყნდა ჩვენი მოძრაობის საპროგრამო დებულებანი*). გარემოებანი გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ის ბ. ზურაბს არ წაუკითხავს. ჩვენ ვსწერდით: „ჩვენ მიზნათ ვისახავთ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მტრების მიერ ჩამოგლეჯილი ჩვენი ეროვნული ტერიტორიის ნაწილები: გატაცებული ზოგი პოლიტიკური გავლენით, ზოგი ეკონომიურ და ზოგიც ფიზიკური ძალით, დავუბრუნოთ საქართველოს." იქვე: **„ჩვენი პირველი მიზანი იქნება ჩვენი უკანასკნელი დამოუკიდებლობის დროის საზღვრების მოპოება. აქ ჩვენ ვსდგევართ თანამედროვე საერთაშორისო უფლებრივ ნიადაგზედ..."** (იხ. გაზ. მომავალი ნომ. 7)

აქეთგან სჩანს, რომ ისეთი ხასიათის ეროვნული მოძრაობაც კი როგორც თეთრი გიორგია, სადამდე ზომიერებას იჩენს აღნიშნულ საკითხში. რომ ჩვენ მარტო „ილიუზიებით" კი ერ ვცხოვრობთ, არამედ კიდევ ერთხელ ვემყარებით ჩვენს უფლებრივს მდგოოარეობას. მსოფლიოს სახელმწიფოებმა იცნეს ჩვენი დამოუკიდებ-

---

*) ეს დებულებები გაიზიარა და სტილისა და ფორმის შეცვლით, (მონარქიის დამატებით) ჩვენს მოუხსენებლად 1936წ. გაიმეორა პარიზში შექმნილ მონარქისტთა ჯგუფმა ბ. ვ. ნოზაძის მეთაურობით. და როდესაც ბ. ავალიშვილს დასჭირდა ჩვენს მოძრაობაზედ სიტყვის თქმა, ნიმუშად „ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ამ ფრიად საპატიო ჯგუფის" დებულებანი დაასახელა.

ლობა. მოსკოვმა დაგვიბყრო. თუ ის კანონიერია, რომ ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ის რატომ არ არის კანონიერი რომ იგივე საზღვრებში ვიგულისხმოთ საქართველო, რომლებშიც წაგვართვეს. ყველა ის ქვეყნები, რომელნიც არ შერიგებიან მოსკოვის შემოსევას და მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, ცხადია, ისინი საქართველოს აღნიშნულ საზღვრებში გულისხმობენ. იგივე იგულისხმება საქართველოს ყველა პოლიტიკურ ჯგუფების და ყოფილი მთავრობის მოქმედებაშიც.

ხოლო დანარჩენი რასაც ჩვენ ვქადაგობთ, არავისთვის არც კანონად ვაცხადებთ, არც მოვალეობად. რათგან ჩვენთვის დიპლომატიური მისია არავის ჩაუნდვია. ჩვენი მიზანია შევქმნათ ეროვნული აზრი და მას მივსცეთ ისეთი მიმართულება, რაც უპასუხებს ჩვენს ეროვნულ მისწრაფებათ. ამას ქადაგობს გარკვეული პოლიტიკური მიმართულება და ის ჯერ ჯერობით მხოლოდ აღმზრდელობითი ხასიათისაა.

ამის მეტი ქართულ პრესას არაფერი უთქვამს. და ჩვენში ცოტა განცვიფრებას იწვევს, როდესაც ეს საკითხი უცბად ტრიბუნაზედ აიტანეს. ამიტომ ეს უნდა ჩავთვალოთ დიდ შეცდომათ ან განზრახ ჩადენილ საქმედ, რომელიც მეტად ცუდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ეროვნულ საქმეს. ეს ნაწილობრივ კიდეც გამართლდა. მან ააყაყანა მთელი ქართველი ემიგრაცია და ათქმევინა ალბად ბევრი ისეთიც, რასაც მოპირდაპირე სიხარულით მოელოდა.

დაბოლოს, ასეთი მეთოდით არავისი გულის მოგება არ შეიძლება. ორი ქვეყნის შორის ურთიერთობა არა სანტიმენტალობის, არამედ ურთიერთ ინტერესთა გაგების და მორიგების საკითხია. კერძოდ თურქეთთან, ვისთანაც ხუთი საუკუნის საურთიერთო ტრადიცია გვაქვს, დიდი გულუბრყვილობაც იქნებოდა, რათგან თურქები ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობენ. მათ იციან, რომ ჩვენ ჩვენს მიწებს არ დავსთმობთ. ცხადია, თუ არ შეგვიძლია, რამდენიც ვიყვიროთ ვერას გავხდებით. არც თავის მდაბლად დაკვრა და არც ოსმალეთის კეთილი გული საქმეს ვერ

უშველიან. ხოლო როცა ამას შევძლებთ, მათ იციან, რომ ჩვენ ამას გავიტანთ.

თურქებმა იციან რომ ჩვენ ჩვენსას მოვითხოვთ და თუ მათ სწამთ ჩვენი მეზობლობა და სურთ ჩვენთან მეგობრობა, კიდეც უნდა სცენ პატივი ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებას. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ მეზობლად ვსცხოვრობთ. ვიცნობთ ერთმანეთს. ჩვენ შევძლებთ ერთმანეთის გაგებას. წვრილ ფეხა მაშუალები ჩვენ არ დაგვჭირდება. როგორც მტრობის ისე მეგობრობის დროსაც ქართველებს არ გვიჭირს პირისპირ შეხვედრა.

არა ბნელი კომბინაციებითა და წვრილმანი ანგარიშებით, არამედ აშკარად და ურთიერთ პატივისცემის გზით გადავჭრით სადაო საკითხებს. ხოლო დღევანდელ არამკითხეთა ჩხირკედელაობა განჰქრება ვითარცა სიზმარი ღამისა. სუ გედარ, კუმ კალურ — წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო.

ჩვენ კი სრულის გამბედაობით უკუვაგდებთ ავალიშვილისებურ მეთოდს, რომელიც არის გამომხატველი დავრდომილების, სულიერი დაცემის და მაჩვენებელი მომავალი უილაჯობის. ის არ ეგუება ქართველი ერის ბუნებას, არც მის სახელოვან თავგადასავალს და ბოლოს არც მის ძლიერ ეროვნულ თავმოყვარეობას.

ჩვენ ვერ ვუღალატებთ ჩვენს დიდებულ წინაპართა ხმალს. ჩვენ უნდა განვაგრძოთ გზა, უკვე ათასჯერ ნაცადი; გზა მამა - პაპური; გზა შეუდრეკლობის, გზა შეურიგებლობის, გზა ბრძოლის. ეს გვიანდერძა ჩვენმა მოწამებრივმა ისტორიამ, ამას მოითხოვს ჩვენგან ეროვნული სინიდისი და მოვალეობა.

Imprimerie de Navarre — 5, rue des Gobelins. Paris (13).